საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 28 სექტემბერი. 2023 წ. №110 (9642) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

გადამწყვეტი ნაბიჯი

ევროკავშირის სადამკვირვებლო კომისიის საქართველოში მუშაობის 15 წლისთავი

...ბატონო ელჩო, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გუნდის წევრებო, პატივცემულო სტუმრებო, ძვირფასო მეგობრებო, დღეს ჩვენ ვიკრიბებით მნიშვნელოვანი თარიღის – საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის 15 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ჩვენ ერთად ვიაზრებთ იმ გზას, რომელიც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ერთად გავიარეთ.

2008 წლის 15 სექტემბერს ევროკავშირმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაარსებით, რომლის მიზანი იყო ზედამხედველობა გაეწია ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებაზე და, ხელი შეეწყო საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. იმ დღიდან მოყოლებული ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ საკვანძო როლი ითამაშა ჩვენს სტაბილურობისა და შერიგებისკენ სწრაფვაში.

ჩვენ – ქართველები – დიდ პატივს ვცემთ მისიის ერთგულებას სადღეღამისო, 24/7 რეჟიმში, მონიტორინგის იდეისადმი და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ნდობის გამყარებისკენ მიმართული დაუღალავი ძალისხმევისთვის.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის გამოყენებული ევროკავშირის სხვა ღირებულ ინსტრუმენტებთან ერთად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ყოფნა ნათლად ადასტურებს ევროკავშირის მნიშვნელოვან მხარდაჭერას საქართველოს მიმართ, რაც ძალიან ფასეულია. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია წარმოადგენს ჩვენი ევროპელი მეგობრების მჭიდრო თანამშრომლობის და ძლიერი მხარდაჭერის სიმბოლოს.

გასული წლების განმავლობაში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოში კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილებაში. მისია ემთხვევა ჩვენს მიზნებს – შევინარჩუნოთ მშვიდობა, დავეხმაროთ ადგილობრივ მოსახლეობას ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს და გავაჩინოთ ნდობა.

...მშვიდობას საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ ვაცნობიერებთ კონფლიქტის მაღალ ფასს. 2012 წლიდან ჩვენმა მთავრობამ ათი წლის განმავლობაში უწყვეტად და წარმატებით შეინარჩუნა მშვიდობა და სტაბილურობა, რაც ეკონომიკურ წინსვლას განაპირობებს. ჩვენ მზად ვართ, გავაუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის – ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

2008 წელს რუსეთის შემოჭრამ მძიმე შედეგები იქონია ჩვენს ხალხზე. რუსეთის აგრესიისა და უკრაინის ომის გამო არსებული არასტაბილური ვითარება გვახსენებს აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობისა და კონფლიქტების – მათ შორის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის – მოგვარების საჭიროებას. ამ პროცესში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ჩართულობას მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას.

ირაკლი ღარიბაშვილი.

27 სექტემბერი, 2023 წ.

მეფე-პოეტის რუსთველოლოგი...

ვიქტორ ნოზაძე:

„არ შემიძლია დავბრუნდე, სანამ სამშობლო მოსკოვის მპყრობელობაშია“



130 წლის წინ, 1893 წლის 17 სექტემბერს ზემო იმერეთის სოფელ წირქვალში დაიბადა ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა ორი საქმის კეთებას: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და ქართული კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლის, „ვეფხისტყაოსნის“ გამოკვლევას.

ვიქტორ ნოზაძემ მართლაც შესაშური პრინციპულობით უერთგულა ამ ორ საქმეს. როგორც მისი ერთ-ერთი მეგობარი წერდა, მთელი სიცოცხლე შეალია საქართველოს, **„სხვა ცხოვრება არ ჰქონია, არ ეცალა პირადი ბედნიერებისთვის და შესანიშნავი გაკვეთილი დატოვა იმისა, თუ როგორ თავდადებით უნდა ემსახუროს ყოველი პატიოსანი ქართველი თავის მოვალეობას“.**

1975 წლის აპრილის შუა რიცხვებში 81 წლის ვიქტორ ნოზაძე თავისი მორიგი ნაშრომის, „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ გამოცემაზე მუშაობდა, როცა მოულოდნელად ცუდად გახდა. საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს უკვე დაბეჭდილი ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ვარსკვლავთმეტყველება, მზისმეტყველება, საზოგადოებათმეტყველება, ღმერთისმეტყველება და მეექვსე წიგნის დასტამბვას ჩქარობდა. მეცნიერის მეგობრის, **მიხეილ ქავთარაძის** თქმით, წიგნის ექვსი ნაკვეთიდან სამი უკვე დაბეჭდილი ჰქონდა, მეოთხეს კი აწყობდა. როგორც ყოველთვის, თვითონ იყო თავისი წიგნის რედაქტორიც და ასოთამწყობიც.

„სანახავად რომ მივედი, თბილებში გახვეული ლინოტიპს უჯდა, ძლივს ლაპარაკობდა, – იხსენებდა მიხელ ქავთარაძე, – **ვუთხარი, ვიქტორ, თუ გინდა, რომ საქმე განაგრძო, საჭირო დროსაც უნდა გაჩერდე-მეთქი. ისევ ძველებურად წიგნის დასრულების აუცილებლობა ახსენა – მეჩქარება, ხომ უნდა დავასრულო ბოლოს და ბოლოს ეს წიგნიო, მაგრამ დაუმატა: მართლა ცუდად ვარ, რამდენიმე წუთის სამუშაო დამრჩა და მერე დავწვებიო. რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს. 23 აპრილს გრძნობა დაკარგა. ბოდვაში ლინოტიპის მუშაობაში ხმარებულ ფრანგულ ტერმინებს ბუტბუტებდა. 24-ში გარდაიცვალა“.**

იხ. 7 გვ.

ნუგზარ რუხაძე:

1. სანქციები ზვავად გადაიქცევა?!

იხ. 8 გვ.

2. სომეხთა გენოციდის დრამა!..

გიორგი ცუცქირიძე:

რომან „კუპონას“ ფარსი და ტყუილი

9

მართალია, ახალ ჰეროსტრატედ ვერ იძცა, უარყოფითი თიკუნის ტარებაც მძიმე რამ არის, თუმცა...

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქიული შარტავას სახელობის დარბაზი გაიხსნა

იხ. 2 გვ.

თბილისის მერი:

კარგ მძღოლებს ხელფასი 2500–3000 ლარი ეძლევათ!

6

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ �გᲐᲦᲠᲛᲐᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲘᲓ ᲔᲠᲔᲑᲡ!

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ ᲛᲝᲒᲒᲐᲠᲗᲝᲗ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ; ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა,** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 74 წლისთავის აღსანიშნავ ოფიციალურ მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, სადაც პრემიერი მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა.

„ჩინეთის კულტურული სიმდიდრე ცხადყოფს ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბებაში ტრადიციის მატარებელ ძალას და ეფექტს.

ჩინეთის კულტურა, რომელიც ათასწლეულებს მოიცავს, გულისხმობს კონფუციანელობას, ხაზს უსვამს პატივისცემასა და იერარქიას, დაოიზმის ჰარმონიას ბუნებასთან და წონასწორობასთან, ტრაპეზში ჩაის როლს და სტუმართმოყვარეობას. ჩინური კალიგრაფია ხოტბას ასხამს ესთეტიკას, ხოლო ჩინეთის დიდი კედელი ისტორიისა და მიზანდასახულობის სიმბოლოა.

მართლაც აღმაფრთოვანებელია, თუ როგორ მოახდინა ჩინეთმა თავისი წინაპრების სიბრძნის საფუძველზე, შეუფერხებლად გაეერთიანებინა ტრადიციული ღირებულებები უახლეს ტექნოლოგიებთან და ინოვაციურ სტრატეგიებთან და გადაქცეულიყო გლობალური ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად. ძველისა და ახლის ეს ჰარმონიული შერწყმა ცხადყოფს, რომ ჩინეთის წინსვლა განპირობებულია არა მხოლოდ მისი სამომავლო ამბიციებით, არამედ ისტორიული მემკვიდრეობის, როგორც ძალისა და შთაგონების წყაროს, მიმღებლობის უნარით“.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველო თავისი გამორჩეული ისტორიით, უნიკალური ტრადიციებითა და პროგრესული მისწრაფებებით აღიარებს ჩინეთთან ძლიერ კავშირს.

„ეს მეგობრობა და ეს კავშირი ცხადყოფს, რომ მსგავს ღირებულებებს ძალუძს გეოგრაფიული სივრცეების გადალახვა და ხალხის გაერთიანება კოლექტიურ ძალისხმევაში.

ამ თვალსაზრისით, ნება მომეცით ხაზი გავუსვა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ხანგრძლივ მეგობრობას და ტრადიციულად წარმატებულ თანამშრომლობას. ჩინეთს, როგორც ერთ-ერთ პირველ ქვეყანას, რომელმაც 31 წლის წინ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენთან დიპლომატიური კავშირები დაამყარა, განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენს გულებში.

ძალიან ვაფასებთ ჩინეთის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. თავის მხრივ, საქართველო იცავს „ერთი ჩინეთის პრინციპს“ და ეს ურთიერთსოლიდარობა ქმნის მყარ საფუძველს ჩვენს ერებს შორის მტკიცე კავშირისთვის.

ამ კავშირების დასტურად, ჩემი წლევანდელი ვიზიტი ჩინეთში არის ის მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებში, რომელიც მათ სტრატეგიული პარტნიორობის საპატიო დონემდე ამაღლებს და დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და გაგებაზე. ამ ისტორიული ვიზიტის დროს მქონდა პატივი მნიშვნელოვანი შეხვედრები მეწარმეებინა პრეზიდენტ სი ძინპინთან და პრემიერ ლისთან, რათა თანამშრომლობის ახალი გზები გამომევლინა. მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი ხედვა საერთო კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების შესახებ ხელშესახებ და ურთიერთსასარგებლო შედეგებს გამოიღებს.

ამ კონტექსტში, მოხარული ვარ ხაზი გავუსვა ჩვენს უკვე კარგად ჩამოყალიბებულ და ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომელიც აშკარაა ორმხრივი ინტერესის სხვადასხვა სფეროში - ინფრასტრუქტურიდან და ვაჭრობიდან დაწყებული, განათლებითა და ტურიზმით დამთავრებული.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ისტორიულად წარმოჩინდება როგორც ბუნებრივი ხიდი ევროპასა და აზიას შორის და ის უძველესი აბრეშუმის გზის განუყოფელი ნაწილია. დღეს ჩვენი სტრატეგიული მდებარეობა საშუალებას გვაძლევს წვლილი შევიტანოთ აბრეშუმის გზის აღორძინებაში, „სარტყელი და გზის ინიციატივის“ ქოლგის ქვეშ მოაზრებული „შუა დერეფნის“ გავლით.

შესაბამისად, მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვახორციელებთ ინფრასტრუქტურაში, რათა საკმარისი სიმძლავრეების გამომუშავების შესაძლებლობა არსებობდეს მომავალ წლებში. ჩვენი ერთგულების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელიც მაღალი დონის და მრავალმხრივი დიალოგისთვის შექმნილი საერთაშორისო პლატფორმაა. ამის გათვალისწინებით, მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ ჩვენი ერთგულება „სარტყელი და გზის ინიციატივისადმი“ კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ხელმოწერით“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერის თქმით, **საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებამ, რომელიც 2018 წლის იანვარში შევიდა ძალაში, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს ქვეყნებს შორის უფრო მსხვილი ვაჭრობის უზრუნველყოფაში.**

ჩვენ ახლახან გამოვეცით განკარგულება ჩინეთის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის დაწესების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ასახავს ურყევ ერთგულებას ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული კავშირების განმტკიცებისთვის. ვიმედოვნებთ, რომ ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს უფრო დიდი კულტურული კავშირების დამყარებას და ტურისტულ ნაკადებს უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყნებს შორის. მეგობრებო, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც კეთილდღეობას და ორმხრივ სარგებელს მოუტანს ჩვენს დიდ ერებს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მოწვეულ სტუმრებს ასევე სიტყვით მიმართა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ჭოუ ციენმა.

27.09.2023

ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲠᲣᲚ ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲖᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ.

მთავრობის მეთაურმა დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო და მემორიალი გვირგვინით შეამკო. პრემიერ-მინისტრი ადგილზე თბილისის მერთან და მთავრობის წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲐ!

ᲖᲣᲡᲢᲐᲓ 30 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, 1993 ᲬᲚᲘᲡ 27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

„ომმა მძიმე კვალი დააჩნია ჩვენს ქვეყანას – ეთნიკურმა წმენდამ ასეულობით ათასი ადამიანი საკუთარ სამშობლოში დევნილად აქცია, რაც ყველაზე სამწუხაროა, ტრაგიკულად შეიწირა მრავალი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე; რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია და ქვეყნის გაერთიანება კვლავაც ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების უმთავრეს გამოწვევად რჩება. კიდევ ერთხელ, გულწრფელად ვუსამძიმრებ ომის მსხვერპლთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

დღეს, როდესაც გაღებულ მსხვერპლს ვიხსენებთ, კვლავ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისადმი; ჩვენი ხელისუფლება მტკიცედ მიჰყვება ამ გზას, რადგან ღრმად გვწამს – მშვიდობა ის საფუძველია, რომელზეც აფხაზ და ოს ძმებთან ერთად უნდა ვაშენოთ ერთიანი, ძლიერი, განვითარებული ქვეყანა. მჯერა, რომ მომავალი აფხაზთა და ქართველთა ერთობას, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეკუთვნის“, – აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲣᲨᲣᲨᲔᲑᲔᲚᲘ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ, ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲔᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მრჩევლისა და ღონისძიების მოდერატორის, **გიორგი ფარეშიშვილის** განცხადებით, მსგავსი ინიციატივები მომავალ თაობას შეახსენებს, თუ რამხელა მსხვერპლი გაიღეს სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისთვის ქართველმა მამულიშვილებმა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, **რუსლან აბაშიძის** თქმით კი, აღნიშნული ინიციატივა მისასალმებელია, რადგან მსგავსი პროექტები მხარს უჭერს იმ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ტარდება.

ეროვნული გმირის, დარბაზის გახსნის საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი **ვახტანგ წივწივაძე;** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი **კახაბერ კორძაია;** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **რუსლან აბაშიძე;** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი **ლევან თევზაია;** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **გიორგი ჯინჭარაძე;** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური;** იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი **გიორგი გაბედავა;** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ზვიად ბულისკერია.**

„ხალხის ძალა“ ზედმეტად ცხარობს!

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაგიჯები შეაფასა ჟურნალისტებთან საუბრისას „ხალხის ძალის“ წევრმა ზურაბ ქადაგიძემ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზურაბიშვილის განცხადებები, სხვა არაფერია, თუ არა მავნებლური ქმედება.

„ქართული ფილმია, სადაც ერთი საინტერესო ფრაზაა, „რა ვუყოთ კოჯაძეს? მივცეთ ატესტატი და გავუშვათ! ნამდვილი სულელია!“

ხუმრობა რომ გადავდოთ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სისულელით საკუთარ თავს იზიანებენ. არსებობენ გოროტი ადამიანები, რომლებიც გარემოცვას აზიანებენ და არსებობენ მავნებლები, როგორიცაა ქალბატონი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იმიტომ, რომ მის საქციელს, რასაც სჩადის, სხვა ახსნა არა აქვს.

როდესაც ვსაუბრობთ, თუ რა დააშავა, ერთია ის, რომ შავით თეთრზე წერია კონსტიტუციაში, რომ ის ათანხმებს თავის ქმედებას მთავრობასთან და შემდეგ ოვერირებს მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს სახელით. ამ შემთხვევაში ის არ ათანხმებს, თავიდანვე არღვევს კონსტიტუციას და არ იცავს მას. მეორე, იურიდიული ცოდნა ამას არ სჭირდება – მსოფლიოში ვერ ნახავთ მაგალითს, რომ კანონის ნორმა დაერღვიოს პრეზიდენტს, არათუ რომელიმე თანამდებობის პირს, არამედ პრეზიდენტს და ეს ნორმა მოარგოს ერთ ადამიანს. პარადოქსთან გვაქვს საქმე. მან დაიწყო ინსინუაციური კამპანია – არა, ამ ეტაპზე ასე მინდა. სხვა საფუძველი მისი იმპიჩმენტის არ არსებობს,“ – განაცხადა **ზურაბ ქადაგიძემ.**

ზურაბ ქადაგიძე:

მსოფლიოში ვერ ნახავთ მაგალითს, რომ კანონის ნორმა დაერღვიოს პრეზიდენტს!..

იმას, თუ რას ემსახურება და რას ისახავს მიზნად პრეზიდენტის პოზიცია, ზურაბ ქადაგიძე შემდეგ შეფასებას აძლევს:

„ახლა რაც შეეხება კამპანიას, რომელზეც ვსაუბრობდით, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არცთუ ისე სულელია, აღმოჩნდა ის რგოლი, რომელმაც ე.წ. რევოლუციურ პროცესებში უნდა შეასრულოს ე.წ. ნდობის გაჩენის როლი. ნახეთ, საქართველოს პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალიც კი, ამუნათებს ხელისუფლებას, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს რეპუტაციას, რამაც სარგებელი უნდა მოუტანოს დაპირისპირებას და რევოლუციურ წიაღსვლებს. შემდეგ ჩაერთვება სხვადასხვა კომპონენტი, მაგალითად ლორთქიფანიძის გუნდი, დიდი ალბათობით უნდა მოხდეს გარკვეული საბოტაჟი, რასაც ზურგს გაუმაგრებს საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ეს მოხდა მარტში, როცა წაუკითხავი კანონპროექტი აპროტესტებინა ახალგაზრდებს, რომელთა დიდმა ნაწილმა შემდეგ პროცესებს ზურგი აქცია. რატომ გამარგინალდა მაშინდელი პროცესები? იმიტომ, რომ ადამიანებმა აღმოაჩინეს, რომ არანაირ რუსულ კანონზე არ არის საუბარი და მსგავსი კანონები მოქმედებს კანადაში, ჩეხეთში და ევროკავშირიც კი აპირებდა მსგავსი პროექტის ინიცირებას.

აი, ამ დროს, სალომე ზურაბიშვილს შემოაქვს ახალი ფრაზა „რუსული გადაწყვეტილება“. იქნებ თავიდან მოახერხოს, უკაცრავად ამ სიტყვაზე, გარკვეული ადამიანების წამოკიდება, რაღაც ანკესის როლი შეასრულოს ამ ფრაზამ, რომ დაიწყოს გამოსვლები და როგორც მაშინ აბსურდის სპექტაკლი დადგეს მოწოდებით „არა რუსულ კანონს“, ახლა იქნებ დაიწყონ „არა რუსულ გადაწყვეტილებას“ – თავი და თავი ამ პროცესებისა რეალურად არის ეს,“ – ამბობს „ხალხის ძალის“ წევრი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულებით და არა საქართველოს კონსტიტუციით, როგორც ამას ქადაგიძის შეფასებით, ზურაბიშვილი მოგვიწოდებს, ანალიტიკოსი აცხადებს, რომ პრეზიდენტის განცხადებები ე.წ. „ფეიკზეა“ გათვლილი.

„რაც შეეხება სუვერენიტეტს (და მეტს აღარ გავაგრძელებ იმიტომ, რომ ამ სულელზე ამდენიც არ უნდა ილაპარაკო), ჩემი დამოკიდებულება არის ეს – როდესაც საუბრობ, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულებებია განმსაზღვრელი საქართველოში და ასე ხდება მსოფლიოში, ეს არის გათვლილი ე.წ. „ფეიკზე“. სინამდვილეში რა ხდება? კანადაში მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სანქცირება და დასანქცირებულზე შეღავათების გაკეთება; მალტაში საერთაშორისო სანქციებს სასამართლო არეგულირებს; ევროკავშირში, 2023 წლის 31 მარტს, ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა ცვლილება შეეტანა შესაბამის აქტებში, ევროკავშირის შემზღუდველ ზომებთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს 2664 რეზოლუციის (2022) გათვალისწინებით; ჩეხეთის რესპუბლიკა - მიიღეს სანქციების აქტი, რომელიც გარკვეული სუბიექტების მიმართ ეროვნული შემზღუდავი ზომების მიღებას ახორციელებს. ამ დროს, როდესაც ეს „პრეზიდენტი“ ქალბატონი გვესაუბრება, რომ თურმე საქართველომ უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო დეპარტამენტის დადგენილებით და არა საქართველოს კონსტიტუციით, ამაზე მეტი ღალატი, ეროვნული შეგნების დაკნინება და ამაზე მეტი კოლაბორაცია რა არის, თუ არა მისი საქციელი,“ – დასძინა ზურაბ ქადაგიძემ.

დრო, ფარცხალაძე დავივიწყოთო!..



ზურაბიშვილის სვლა:

ვის „თამაშს“ თამაშობს პრეზიდენტი...

ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებული **რამდენიმედღიანი ენერგიული პროცესების შემდეგ, თითქოს ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ სკანდალებს ნაჩვევი ქართველი საზოგადოება, მიუხედავად თემის სიმძიმისა, „ანტრაქტზე“ უნდა გასულიყო, თუმცა პრეზიდენტმა მევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილებით, თემა დღის წესრიგიდან არ ჩახსნა: ფარცხალაძის „ქეისით“ გამოვლენილი მანკიერებები, რამაც ამ პერსონის საქმე კონტექსტად აქცია, დროში არ გადაავადა – ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ბრძანება, რომელმაც საქართველოს მოქალაქეებისთვის სანქციების გვერდის ავლის მექანიზმი შექმნა, დღეს, მორიგი „ფარცხალაძის“ გამოვლენამდე ინარჩუნებს სიმწვავეს და ვერც მმართველი გუნდი გათავისუფლდა „ფარცხალაძის“ ტვირთისგან, მიუხედავად მოლოდინისა, „გავა მოქალაქეობიდან, ყველაფერი წესრიგში ჩადგება, ჩვენ საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებს ვიცავთო“.**

მას შემდეგ, რაც ყველა შეთანხმდა, რომ ფარცხალაძე კანონიერად არ ფლობს საქართველოს მოქალაქეობას და ის ერთი წლით ადრეც უნდა შეწყვეტოდა (რუსეთის მოქალაქეობის მიღებიდან გამომდინარე), პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გამოუჩნდნენ კრიტიკოსები პოლიტიკური ველის ორივე ფლანგზე. აქცენტირებენ სამართლებრივ პრობლემურობაზე, თუმცა, „ბიძინა ივანიშვილის თამაშში ჩართვაშიც დასდეს ბრალი“.

„არაერთხელ გვითქვამს, რომ სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილის გაგრძელებაა და მის გარეშე არ და ვერ იღებს გადაწყვეტილებებს. ფარცხალაძესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებაც ამის ნათელი დასტურია. ფარცხალაძეს ზურაბიშვილი არ ართმევს მოქალაქეობას, რეალურად, მას ამით აქვს გარკვეული პრივილეგიები ევროკავშირის ქვეყნებში. სწორედ ამიტომაა, სავარაუდოდ, რომ ის უნარჩუნებს მოქალაქეობას, ეს აჩვენებს, რომ ზურაბიშვილი ჩართულია ივანიშვილის თამაშებში“, – განაცხადა ენმ-ის თავმჯდომარე ლევან ხაგეიშვილმა.

თავის მხრივ, პრეზიდენტი აპელირებს ბრძანებულების გამოსაცემად განსაზღვრულ სამთვიან ვადაზე, ხოლო მოტივად სპეცსამსახურებთან კავშირში მხილებას და ამ დრომდე გაურკვეველი მუხლით მიმდინარე გამოძიებას ასახელებს: „ოთარ ფარცხალაძე მხილებულია ჯაშუშობაში და მის მიმართ დაწყებულია გამოძიება. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ თუ ოთარ ფარცხალაძე დასასჯელია, ის უნდა დაისაჯოს სწორედ, როგორც საქართველოს მოქალაქე“. ამასთან, მას ქვეყნისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია, გაუქმდეს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული „რუსული გადაწყვეტილება“, ვინაიდან, „საქართველოს შესაძლო „შავ ხვრელად“ ქცევა მხოლოდ ერთი ქვეყნის ინტერესებშია და პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებსა და ჩვენს ევროატლანტიკურ გზას“.

პოლიტიკური ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ფიქრობს, რომ პრეზიდენტის ნაბიჯი უფრო პოლიტიკური მოტივებითაა ნაკარნახევი, ვიდრე სამართლებრივით:

„ეს შემხვედრი ნაბიჯი იყო პირველი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა – როდესაც სებ-მა ჯერ შეზღუდვები დაუწესა ფარცხალაძეს, შემდეგ კი დრო მისცეს, რომ ქონება გადაეფორმებინა. გადაწყვეტილება უფრო პოლიტიკურია, ვიდრე სამართლებრივი. და როდესაც დიდწილად პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა საუბარი, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამ შემთხვევაში რაღაც მოლოდინები აქვს. როდესაც ფარცხალაძე რჩება საქართველოს იურისდიქციაში, საქართველოს ხელისუფლებამ რაღაც უნდა მოიმოქმედოს, გარდა იმისა, რომ ძიება მიმდინარეობს. ვფიქრობ, პრეზიდენტის მიზანია, აიძულოს ხელისუფლება, უფრო მკვეთრი და მკაფიო ნაბიჯები გადადგას ფარცხალაძესთან და ზოგადად, სანქციებთან მიმართებით. ამიტომაც ამბობს, რომ სამთვიანი ვადა აქვს და „ამ ვადას ვიყენებ იმისთვის, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესები იქნეს დაცული“. ზგონია, რომ მაინც მინიმალური იქნება პოლიტიკური შედეგი. „ქართული ოცნება“ შეეცდება, ამ თემის იგნორირება მოახდინოს, რამდენჯერმე ითქვა, „დრო, ფარცხალაძე დავივიწყოთო“. ამაზე მხოლოდ ოპოზიცია ისაუბრებს“.

ყოფილ სახელმწიფო მინისტრ **პაატა ზაქარეიშვილსაც** ესმის პრეზიდენტის გადაწყვეტილების ლოგიკა.

„როგორც კი ფარცხალაძე დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, ერთადერთი, რუსეთი ხდება მისი პატრონი და გარკვეულწილად მის გადარჩენაზე დაიწყებს მუშაობას. პრეზიდენტი კი ფარცხალაძეს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ტოვებს. დიახ, ამჟამად მასზე სანქციები არ მოქმედებს თურნავას გადაწყვეტილების მიხედვით. ხოლო პრეზიდენტის გადაწყვეტილება აიძულებს კანონმდებელს, იფიქროს, რამდენად სასარგებლოა და არა მავნე, რომ ისინი დღემდე ინარჩუნებენ თურნავას გადაწყვეტილებას? რადგან ის საფრთხის ქვეშ აგდებს უკვე საქართველოს ფინანსურ სისტემას. რამდენად ეფექტურია, სხვა საკითხია, მაგრამ ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის მიდგომაში ლოგიკა არის და მტკიცება, რომ სალომე ზურაბიშვილი მუშაობს „ქართული ოცნებისთვის“, ჩემთვის არადამაჯერებელია. ხოლო ის, რომ სალომე ზურაბიშვილი მოქმედებს უცნაურად, მაგრამ ლოგიკურად, ჩემთვის გასაგებია და მიმაჩნია, რომ აქედან გარკვეული სარგებელი უნდა დარჩეს პირობითად, დემოკრატიულ საქართველოს („ქართული ოცნებისგან“ დამოუკიდებლად), რომელიც მიისწრაფვის ევროპისკენ“.

მისი ხედვით, პრობლემა კოლექტიურ „ფარცხალაძეებშია“ და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებაში, რომელიც „ფარცხალაძეებს“ იცავს და ის უნდა შეიცვალოს, სხვა შემთხვევაში, „ყველაზე დიდი დარტყმის ქვეშ დადგება საქართველოს ინტერესები, ფინანსური სისტემა“. **„სანქციებით ყველაზე დიდი დარტყმის ქვეშ დგებიან „ფარცხალაძეები“, ვინც ქმნიან პირამიდას, რომლის თავშიც ივანიშვილია. თუ „ფარცხალაძეები“ გამოეცლებიან ამ სისტემას, დაიწყება პირამიდის შლაც. ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ პირამიდის დაშლას უწყობს ხელს“**, – აჯამებს ზაქარეიშვილი.

„საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“...

ევროკავშირი გაფართოებას არ აპირებს, 2030 წლისთვის შეიძლება ჩრდილო მაკედონიის საკითხი განიხილონ, ჩვენ კი შეგვრჩება მარტო კანდიდატის სტატუსი

„ჩვენი მიღწევები იმსახურებს ევროპავშირის დადებით გადაწყვეტილებას“, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** გაეროს 78-ე სესიის გენერალურ დებატებზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

თვეების მანძილზე გრძელდება მარჩიელობა, მოგვცემენ თუ არა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს. არც ერთ თემას არ აქვს იმდენი ვერსია, რაც ევროკავშირის სტატუსის მონიჭება-არმონიჭებას.

„თუ კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ, თავისთვის დაიტოვონ“, – იუმორით უყურებდა ერთ დროს ამ საკითხს **კახა კალაძე**, დღეს კი ელის, რომ სტატუსს მოგვანიჭებენ.

„იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირს რეგიონში ერთი მოკავშირე მაინც სჭირდება საქართველოს სახით, მგონია, მაინც მოგვცემენ სტატუსს“, – იმედიანადაა განწყობილი ანალიტიკოსი **თორნიკე შარაშენიძე**.

„სტატუსს მაინც მოვვცემენ, საკუთარი თავი წამგებიან და კომიკურ სიტუაციაში რომ არ ჩაიყენონ, ფორმულირება – ქართველი ხალხი კარგია დ ხელისუფლება ცუდი, გაცვდა“, – ასკვნის ეკონომისტი **გიორგი ცუცქირიძე**.

„არაფრისმომცემ სტატუსს იმ შემთხვევაში მოგვცემენ, თუ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობას“ დავაბრუნებთ“, – ეჭვობენ „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები.

ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სტატუსი საქართველოს გარანტირებული აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბორელი ჩვენს ქვეყანაში არ ჩამოვიდოდა, ბორელს შეეძლო, ბრიუსელიდანაც გაეკეთებინა განცხადებები, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლა ამჯობინა, რაც დადებითი სიგნალის მაუწყებელია.

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** აცხადებს, რომ შეუძლებელია, დღეს ვინმეს კობახიძეზე მეტი ინფორმაცია ჰქონდეს, კობახიძემ კი ღიად თქვა, სტატუსის მოცემის შანსი 50/50-ზეაო.

„სხვათა შორის, ბორელმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ძალიან დიდი უსამართლობა, ოლივერ ვარჰეიმ ხომ გითხრათ 22 ივნისს, რომ ევროკავშირის 12 პუნქტიდან მხოლოდ სამია შესრულებული, 7 ნაწილობრივ შესრულებულიაო. ბორელის ნათქვამი იყო ორმაგი სტანდარტის პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, დამკვიდრებულია დასავლეთში, მათ შორის, ევროგაერთიანებაში. ბორელმა დაასახელა, თქვენ ახლა განსაკუთრებით უნდა მიხედოთ მედიის თავისუფლებას, ვინაიდან მედიას საქართველოში ავიწროებენო, ჟურნალისტებსაც თურმე ავიწროებენ, პირობები არ აქვთ სამუშაოდ. მე ვეკითხებოდი საქართველოში მომუშავე დიპლომატებს, თქვენ ხომ მონიტორინგს აწარმოებთ, მითხარით, სად არის შევიწროებული მედია საქართველოში, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების ინდექსებით, უფრო თავისუფალი მედია გვაქვს, ვიდრე პოლონეთში, ან ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში? საკაშვილის რუპორი ტელევიზიები ოდნავ შევიწროვდა? დღედაღამ არ გადმოსცემენ დეზინფორმაციას? კეზერაშვილის დაუსწრებლად გასამართლებით და გვარამიას დაპატიმრებით შევიწროვდა მასმედია, რამე დაეტყო უარესობისკენ? ამ კითხვაზე ვერ მცემენ პასუხს. უფრო მეტად თავისუფალი მედია კიდევ რა უნდა იყოს?!“ – უკვირს პეტრე მამრაძეს.

რაც შეეხება ბორელის მოწოდებას დეპოლარიზაციისკენ, მამრაძის აზრით, როდესაც ოპოზიციის მყარი პოზიციაა, რომ ეს ხელისუფლება დღესვე უნდა წავიდეს, რომ უნდა დაასრულონ ხელისუფლება, რომ არავითარი თანამშრომლობა და ლაპარაკი „რუსულ ხელისუფლებასთან“ არ შეიძლება, ასეთ ვითარებაში განა რა გზა უნდა მოძებნოს ხელისუფლებამ, რომ დეპოლარიზაცია დასრულდეს?! ერთადერთი გზაა, ხელისუფლება გადადგეს და ოპოზიციას დაუთმოს ადგილი, ანუ ჩვენ წავალთ და თქვენ მოდითო?!

ასევე, ევროკავშირი ჩვენგან მოითხოვს დეოლიგარქიზაციას. ამასთან დაკავშირებით პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ ზაფხულში გამოქვეყნდა მსოფლიო ინდექსები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მე-17 ადგილი აქვს მთავრობის ღია მოქმედებაში, მთავრობის ეფექტურობასა და სანდოობაში, ანუ უსწრებს ევროკავშირის 15 ქვეყანას. ევროკავშირში სულ 27 ქვეყანაა, ე.ი. საუკეთესო ნახევარშია საქართველო. ამ ინდექსების გათვალისწინებით, პეტრე მამრაძეს აინტერესებს, ოლიგარქი რომ მართავდეს ქვეყანას, განა შეიძლება ქვეყანას ასეთი მაჩვენებლები ჰქონდეს?!

მისივე აზრით, ევროკავშირი ისეთ პირობებს გვიყენებს, რომელსაც აპრიორი ვერ შევასრულებთ. წარმოუდგენელია, უფრო მეტად გაუმჯობესდეს მასმედიის თავისუფლება. დეოლიგარქიზაციის კანონიც რომ მივიღოთ, მაინც გვეტყვიან, ეს არ არის ის, რაც გვინდაო, ანუ უნდათ, ამ კანონში ჩავწეროთ სახელი და გვარი **მიძინა ივანიშვილი**, რომელიც, პეტრე მამრაძის თქმით, არანაირი ოლიგარქი არ არის. ყველა პარამეტრით, ოლიგარქია **კეზერაშვილი**. მას ტელევიზიაც აქვს, გააჩნია შესაბამისი ფული, გავლენა. ივანიშვილი კი მართლაც წასულია და არ ეკარება პოლიტიკას.

პეტრე მამრაძე პარალელებზე საუბრობს. მაგალითად, ნატო ჩვენთან მიმართებით თავშეკავებულია. ეს გასაკვირი არცაა, როდესაც დედაქალაქიდან 30 კილომეტრში რუსული ტანკები დგას და **საკაშვილისა** და მიძამისის მიერ ძალით მოყვანილი რუსული ტანკები არსად არ მიდის, როდესაც უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედმა წევრმა რუსეთმა ცნო საქართველოს ორი რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, როცა პუტინს შეუძლია ნებისმიერ დღეს მოაწეროს ხელი, რომ „დედასამშობლო“ ჩრდილო ოსეთს მიუერთოს სამაჩაბლო და ტაშის გრიალით დუმამ ეს იმ დღესვე დაამტკიცოს, ცხადია, ასეთ პირობებში საერთოდ არ განიხილება ჩვენთვის არათუ ნატოში შეყვანა, მაპიც კი.

„რაც შეეხება ევროკავშირს, ჯერ ერთი, ევროკავშირი არანაირ გაფართოებას არ აპირებს. ექსპერტები ღიად წერენ, 2030 წლისთვის შეიძლება მხოლოდ ჩრდილო მაკედონიის საკითხის განხილვა დაიწყოს და მეტი არაფერი. თავის დროზე ნატოში ასპირანტის სტატუსს გვაძლევდნენ, ასპირანტი პლუსით, ასპირანტი ორი პლუსით, მერე ამასაც დაანებეს თავი და მიჩუმდა ეს ყველაფერი. ასევეა ევროკავშირში გაწევრებაც, შეგვრჩება მარტო კანდიდატის სტატუსი, თორემ გაწევრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. გაწევრების კუთხით მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ საკაშვილს ჯერ კიდევ როდიდან ჰყავდა ძლიერი ლობისტები, 2012 წელს თავი შეირცხვინა „სახალხო პარტიის“ ხელმძღვანელმა მარტენსმა **და ამ ცნობილმა პოლიტიკოსმა ტყუილები ილაპარაკა ევროპარლამენტში „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარედ ყოფნისას, ამდენად, სტატუსის არმოცემაშიც ლობისტების ნამუშევარი დიდია, რომ, არიქა, რუსი ოლიგარქი დაადგა რუსულ გზას, საკაშვილი რომ იყოს, რას არ გააკეთებდა უკრაინაში ომის ფონზეო. ამიტომ ევროკავშირის სტატუსის დიდი მოლოდინი პირადად არ მაქვს. მოლოდინი მაქვს, რომ ცხვირწინ კიდევ დაგვიკიდებენ სტაფილოს, ვირს რომ უკიდებენ, მერე ამ სტაფილოს უნდა სდიო, სტაფილო კი სულ დაგშორდება. ჯერ კიდევ როდის უთხრა შევარდნაძემ ხავიერ სოლანას, დროზე მიგვიღეთ, თუ ღიაა კარი, ორპირ ქარში დგომა სახიფათოა“**, – აცხადებს **პეტრე მამრაძე**.

მანანა ნოზაძე

ქართული დემოგრაფიული ზამთარი გამოზაფხულებას აღარ აპირებს

როგორია დაბადება-გარდაცვალების და ქორწინება-განქორწინების ტენდენციები საქართველოში?!

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 736.4 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.3 პროცენტით მეტია. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს გამოვლინდა უარყოფითი გუნებრივი მატება (-6 799) და დადებითი მიგრაციული სალდო (54 509).

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 48.0 პროცენტი – კაცი, ხოლო 52.0 პროცენტი ქალია. 0-14 წლის ასაკის მიჭუნების წილი მთლიან მოსახლეობაში ჭარბობს ქალებისას, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალები ჭარბობენ კაცებს, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოსახლეობის სიმჭიდროვემ 1 კვ.კმ-ზე 65.3 კაცი შეადგინა. საქართველოს დედაქალაქი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქია, სადაც 1 კვ.კმ-ზე 2 462.5 ადამიანი ცხოვრობს. თბილისის შემდეგ, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია აჭარის ა.რ. (124.6 კაცი), შიდა ქართლი (72.9 კაცი) და იმერეთი (72.2 კაცი). ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი, სადაც 1 კვ.კმ-ზე 5.9 ადამიანი ცხოვრობს. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 60.4 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს. 2022 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 42 319 ბავშვი შეადგინა, მათ შორის დაიბადა 21 897 ბიჭი და 20 422 გოგო. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 7.9 პროცენტით.

ბოლო წლების განმავლობაში, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა მოსახლეობის 1 000 კაცზე) კლების ტენდენციით ხასიათდება და 2022 წელს 11.4 პრომილე შეადგინა. რაც შეეხება შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს, აღნიშნული კოეფიციენტიც შემცირდა და ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა 1.8 ბავშვით განისაზღვრა.

2022 წლის მონაცემებით, საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას შეადგენს 107.2-ს. მათ შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა სამცხე-ჯავახეთის (119.7), კახეთის (112.9) და ქვემო ქართლის (108.3) რეგიონებში. 2012 წელთან შედარებით, შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები 20 წლამდე და 20-24 წლის ასაკის ქალებისთვის შემცირდა. 2022 წელს საქართველოში 20 წლამდე ასაკის 1 000 ქალის მიერ ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობამ შეად-

არ მუშაობს, არ სწავლობს, ცხოვრობს მშობლებთან, მაინც იმედით უყურებს მომავალს!..

ქართველი ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (58%) არ მუშაობს, 65% ამბობს, რომ არ აქვს საკმარისი ფული საკვების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის.

31% არ იღებს განათლებას, 89%-ს არასოდეს მიუღია მონაწილეობა დემონსტრაციაში, 71% წმინდად და სანდოდ მიიჩნევს რელიგიურ ორგანიზაციებს, 74% არ ენდობა მედიას და 77% ფიქრობს, რომ მათი ოჯახების ცხოვრების დონე მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გაუმჯობესდება. ასეთ სურათს ხატავს საქართველოში მცხოვრები 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდების შესახებ კვლევა, რომელიც ფრიდრიხ ებერტის ფონდმა ჩაატარა.

კვლევის მიზანი ახალგაზრდების აღქმების, მოსაზრებებისა და ცვალებადი გარემოს მიმართ მათი დამოკიდებულების შესწავლაა. ამ ტიპის კვლევა საქართველოში წელს მეორედ ჩატარდა – ახალგაზრდობის პირველი კვლევა 2016 წელს გამოქვეყნდა. გასული შვიდი წლის განმავლობაში შეცვლილია ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულება ეკლესიისა და პოლიციის მიმართ – მათ დღეს უფრო ნაკლები ახალგაზრდა ენდობა, ვიდრე 2016 წელს. შეიცვალა ისიც, რომ ქართველი ახალგაზრდები ემიგრაციის შემთხვევაში სასურველ ქვეყნად აღარ განიხილავს რუსეთს, სადაც 2016 წელს 10% ფიქრობდა წასვლას.

კვლევა, რომლის სახელიცაა „დამოუკიდებელი საქართველოს თაობა იმედებსა და გაურკვევლობებს შორის“, აჩვენებს, რომ ახალგაზრდების შეხედულებები ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი და პარადოქსულია. მაგალითად:

- **უმეტესობა (72%) ამბობს, რომ კმაყოფილია საქართველოში მიღებული განათლებით და თვლის, რომ ქართული განათლების სისტემა მათ შრომის ბაზრისთვის სათანადოდ ამზადებს, თუმცა 29 წლამდე ახალგაზრდების ნახევარზე მეტი უმუშევარია.**
- **ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (44%) მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატიაა, თუმცა 63% ამბობს, რომ მათი ინტერესები მწირად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ეროვნულ პოლიტიკაში. მეტიც, 80% ამბობს, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში სავარაუდოდ არ ჩაერთვება.**
- **62% თვლის, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა, თუმცა ტოლერანტობას და სოლიდარობას მხოლოდ მათი 3 და 2 პროცენტი მიიჩნევს მნიშვნელოვან ღირებულებად.**
- **ახალგაზრდების უმრავლესობა დემოკრატიის მომხრეა, თუმცა თითქმის ნახევარი (42%) მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლება არ გულისხმობს, რომ ყველა რელიგიის გაკრიტიკება შეიძლება.**
- **იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდები მთავარ პრობლემებად სიღარიბეს, უმუშევრობასა და მზარდ ფასებს ასახელებენ, მათთთვის უფრო მნიშვნელოვანია კარგად გამოიყურებოდეს, ვიდრე პოლიტიკაში იყოს აქტიურად ჩართული ან ცდილობდეს გამდიდრებას. ახალგაზრდების 41% ამბობს, რომ პოლიტიკაში მათი ჩართულობა საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი. 80% კი თვლის, რომ მნიშვნელოვანია კარგად გამოიყურებოდე, სპორტით იყო დაკავებული და ჯანსაღად იკვებებოდე.**

კვლევა არ სცემს პასუხს კითხვაზე, რამდენად არის განპირობებული ახალგაზრდების განწყობები მათი მშობლების და უფროსების გავლენაზე, თუმცა ამბობს, რომ საქართველოში გამოწვევაა ახალგაზრდების დამოუკიდებლობა. 29 წლამდე ახალგაზრდების მხოლოდ 3% ცხოვრობს მარტო. 64% დედასთან ცხოვრობს, 55% მამასთან. ახალგაზრდების მეოთხედს (24%) ჰყავს საკუთარი ოჯახი და ცხოვრობს მეუღლესთან ან პარტნიორთან ერთად.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნებაა ის, რომ ქართველ ახალგაზრდებს ყველაზე დაბალი მიმღებლობა აქვთ ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანების, „ქვიარ თემის“ წევრებისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მათ შესახებ ამბობს, რომ არათუ არ ისურვებდა თანამშრომლად, კლასელად ან ოჯახის წევრად, არ მისცემდა ქვეყანაში შემოსვლის უფლებასაც კი.

მეორე მხრივ, „ქვიარ“ ადამიანებზე დასმული კითხვების პასუხიდან ჩანს, რომ 76% არც ერთ შემთხვევაში არ მიიჩნევს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებზე ძალადობას და ფიზიკურ აგრესიას გამართლებულად, 69% კი მიიჩნევს, რომ არც სიტყვიერი შეურაცხყოფა არის გამართლებული.

„ქვიარ თემთან“ დაკავშირებით პრობლემად რჩება ინფორმაციის დეფიციტი და დეზინფორმაციის გავლენა. კვლევის მონაწილეთა 32% თვლის, რომ ასეთ ადამიანებს მათი სექსუალური ორიენტაციის გამო მკურნალობა სჭირდებათ, 74% კი ამბობს, რომ მათ არასოდეს არ უნდა მიეცეთ ქუჩებში აღლუმების მოწყობის შესაძლებლობა.

კვლევისთვის რაოდენობრივი მონაცემები მოგროვდა 2022 წლის 30 მაისიდან 2022 წლის 16 ივნისამდე პერიოდში. თბილისში დაფუძნებულმა კომპანიამ 6PM qtctfhw/-მა 14-29 წლის ახალგაზრდების წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 1206 რესპონდენტი გამოკითხა. რესპონდენტები შეირჩა სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის საფუძველზე. რესპონდენტები შეირჩა ასაკობრივი და გენდერული კვოტის გათვალისწინებით. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 45 წუთს შეადგენდა, სტანდარტული გადახრა კი 14,38 წუთი იყო.

მთავარი პრობლემა, რასაც კვლევა აჩვენებს, ისაა, რომ 6 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იმ ახალგაზრდების რიცხვი, ვისი აზრით, ემიგრაციაში წასვლა საუკეთესო გამოსავალია.

2016 წელს ახალგაზრდების 21% გამოთქვამდა ემიგრაციაში წასვლის ძლიერ სურვილს, 19 პროცენტს კი არც ისე მტკიცე განზრახვები ჰქონდა. 2022 წელს ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (55%) ამბობს, რომ მტკიცედ აქვს განზრახული სასწავლებლად ან სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლა, ხოლო 18% შესაძლოა გაემგზავროს ამავე მიზნებით.

„ვფიქრობ, საქართველოში არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს. ცნობიერების დაბალ დონესთან ერთად, განათლების დონეც დაბალია, რადგან ადამიანებს დაბადებიდანვე ჩაესმით, რომ ამ ქვეყანაში არანაირი პერსპექტივა არ არსებობს, რომ არაფერს არ აქვს აზრი, რომ რაც არ უნდა ისწავლო ან გააკეთო, საქართველოში მაინც ვერ განვითარდები. ამიტომაა, რომ 15 წლიდან ახალგაზრდები უკვე აქედან გაქცევას ცდილობენ, აბსოლუტურად ყველას გაქცევა უნდა... ბევრ ჭკვიან, განათლებულ ადამიანს ვიცნობ, ვინც ამ ქვეყანაში ვერაფერი გააკეთა და წავიდა, ბევრია ასეთი მაგალითი“, – ეს კვლევის მონაწილე **17 წლის ბიჭის** მოსაზრებაა.

2016 წელს ახალგაზრდების 95% მიიჩნევდა, რომ მომდევნო წლებში მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, 75% კი მიიჩნევდა, რომ ზოგადად საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობაც გაიზრდებოდა. იმის მიუხედავად, რომ მომავლის იმედი ახალგაზრდებს გარკვეულწილად დღესაც აქვთ, პოზიციური ცვლილებების უფრო ნაკლებს სჯერა. ბოლო კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების 77% ფიქრობს, რომ 5 წლის შემდეგ მათი ოჯახების ცხოვრების სტანდარტი შეიძლება გაუმჯობესდეს, ხოლო მთელ საქართველოში მსგავს გაუმჯობესებას ახალგაზრდების მხოლოდ 59% ელის.

ნასტასია არაბული,
„რადიო თავისუფლება“

გინა 21.9, ხოლო 20-24 წლის ასაკის ქალებისათვის – 90.2. სხვა ასაკობრივ ჯგუფებში აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა. დედის საშუალო ასაკმა პირველი ბავშვის დაბადებისას 2012 წელს 24.2 წელი შეადგინა, ხოლო 2022 წელს ეს მაჩვენებელი 26.4 წლამდე გაიზარდა. დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, 46.2 პროცენტიდან 39.1 პროცენტამდე შემცირდა რიგით პირველი დაბადებულის წილი. მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 15.7 პროცენტიდან 26.6 პროცენტამდე გაიზარდა. ამასთან, მეორე რიგითობის შვილის წილი 4.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

2022 წელს არარეგისტრირებულ ქორწინებაში 16 512 ბავშვი დაიბადა, რაც ცოცხლად დაბადებულების 39.0 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობის რეგისტრაციის სტატუსი ორი სახის არის: დაბადებულები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ა) მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბ) მხოლოდ დედის განცხადებით. ქორწინების გარეშე მხოლოდ დედის განცხადებით რეგისტრირებული დაბადებულების წილი 2022 წელს შეადგენს 12.1 პროცენტს. საქართველოში, 2016 წლიდან, მკვდრადშობილთა რიცხოვნობა და მკვდრადშობადობის ზოგადი კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2022 წელს 377 მკვდრადშობილი დაიბადა, მათ შორის 208 ბიჭი და 169 გოგო.

2022 წელს, წინა წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 18.0 პროცენტით შემცირდა და 49 118 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 25 366 კაცი და 23 752 ქალია. 2022 წლის მონაცემებით, მოკვდაობის ზოგადმა კოეფიციენტმა (გარდაცვლილთა რიცხოვნობა ყოველ 1 000 კაცზე) შეადგინა 13.2 პრომილე. ისევე როგორც დაბადების შემთხვევაში, 2022 წელს, გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა აღირიცხა ქ. თბილისში (28.8%), ხოლო ყველაზე ნაკლები – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (1.5 %).

2022 წელს 322 ჩვილი (1 წლამდე ასაკის ბავშვი) გარდაიცვალა. ამასთან, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2012 წელთან შედარებით 7.0 პუნქტით შემცირდა და 7.6 პრომილე შეადგინა. 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილებში ყველაზე დიდი წილი ნეონატალურ (დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე) პერიოდზე მოდის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში გარდაცვლილ დედათა რიცხოვნობამ 15 შეადგინა, ხოლო დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტმა (100 000 ცოცხლად დაბადებულზე) – 35.4.

დაბადებისას ბიჭები ჭარბობენ გოგონებს, თუმცა ქალები ცოცხლობენ უფრო დიდხანს, ვიდრე კაცები, რაც აისახება ქალების უფრო მაღალ სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე. კაცებსა და ქალებს შორის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის განსხვავება მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორებით არ არის გამოწვეული და გარკვეულწილად ქცევით ხასიათს ატარებს, რადგან მაღალია კაცების სიკვდილის რისკი საწარმოო ხასიათის ტრავმებისგან, თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლიზმი და ავტოსაგზაო შემთხვევები. ამრიგად, საქართველოში ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე კაცების. 2022 წლის მონაცემებით, ქალთა და კაცთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის განსხვავებამ 8.7 წელი შეადგინა. სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ დაბადებისას 2012 წლის შემდეგ 1.6 პუნქტით მოიმატა და 2022 წელს 73.7-ს მიაღწია ორივე სქესისთვის, მათ შორის 69.4 წელი – კაცებისთვის, ხოლო 78.1 წელი – ქალებისთვის.

2022 წლის მდგომარეობით, საქართველოში გარდაცვალების მიზეზებს შორის დომინირებს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები (35.9 პროცენტი) და სიმსივნეები (9.2 პროცენტი).

ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე ისევ ხმაური იყო

ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე ხმაური იყო. საკრებულოს წევრებს შორის დაპირისპირება მოჰყვა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის თათია ნიკოლაშვილის განცხადებას. დეპუტატი დაინტერესდა, რა გეგმები აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის. მისივე თქმით, არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც ამ დრომდე არავის ყურადღება არ მიუქცევია.

ნიკოლაშვილის ამ განცხადებას „ქართული ოცნების“ დეპუტატების გაღიზიანება მოჰყვა, რის გამოც საკრებულოს წევრები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში ისმოდა ურთიერთმრალდებები, რის შემდეგაც სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

„ოზურგეთში მოხდა ძალიან დიდი ტრაგედია, ძალიან დიდი სტიქია. მაგალითად, ერთ-ერთი სოფელი ამ დრომდე მოწყვეტილია გარესამყაროს. კონკრეტული ოჯახები კვლავ მიტოვებულია სტიქიის ზონაში, მათ აქვთ პრობლემები. მდინარე ადიდდა, მიწები ჩამოეშალათ, საფრთხის წინაშე არიან. არის რვასულიანი ოჯახი, რომელიც საფრთხის წინაშეა და ამ პრობლემებზე რომ დავიწყე საუბარი, მმართველი გუნდის დეპუტატებმა მოსმენაც კი არ ისურვეს“, – განაცხადა თათია ნიკოლაშვილმა.

ამასთან, საკრებულოს სხდომის დაწყებისას საკრებულოს თავმჯდომარე გამოეხმაურა ქვემო ნატანების საჯარო სკოლის საკითხს. როგორც მან აღნიშნა, ყველამ იცოდა, რომ სკოლა ავარიულ მდგომარეობაში იყო და განაცხადა, რომ გამოცხადდება ტენდერი და ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა კი აღნიშნეს, რომ ხელისუფლების მხრიდან დროულად უნდა მომხდარიყო რეაგირება.

ᲙᲐᲠᲒ ᲛᲫᲦᲝᲚᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ 2500-3000 ᲚᲐᲠᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲛᲓᲔ, ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ, ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ 27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲐ.

მისი თქმით, მშვიდობას და აფხაზეგთან ერთად ცხოვრების პერსპექტივას ალტერნატივა არ აქვს.

მთავრობის სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანია ავტობუსის მძღოლის პოზიციაზე 400 ვაკანსიას აცხადებს, რომლითაც 8, 10 და 12-მეტრიანი ავტობუსების მძღოლების ვაკანსიები შეივსება, ხოლო ამჟამად მომუშავე მძღოლები 18-მეტრიან ავტობუსებზე გადანაწილდებიან.

„უკვე შევიძინეთ 160 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი, რომლებიც ამჟამად დამზადების პროცესშია. მათი შემოყვანა და სხვადასხვა მარშრუტზე გაშვება 2024 წლის განმავლობაში მოხდება. ამის გათვალისწინებით, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ დაიწყო აღნიშნული ავტობუსების მართვისთვის საჭირო E კატეგორიის მოწმობის მისაღებად კომპანიაში ამჟამად მომუშავე მძღოლების გადამზადება. მათ ნაცვლად, აუცილებელი გახდება, შეივსოს 8, 10 და 12-მეტრიანი ავტობუსების მძღოლების ვაკანტური ადგილები“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისი თქმით, აღნიშნულ ვაკანსიაზე თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2 500-3 000 ლარს გამომუშავებით.

„ვისაც სურვილი აქვს ჯეროვანი დასაქმების, უნდა მიმართოს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას. შესაბამისი გასაუბრებისა და სტაჟირების გავლის შემდეგ, ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა, შესაძლებლობა ექნება, დასაქმდეს M3 კატეგორიის ავტობუსის მძღოლის პოზიციაზე. ვაკანსია ცხადდება 400 მძღოლზე. მოცემულ ვაკანსიაზე თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2500-3000 ლარს გამომუშავებით“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

თბილისის მერიის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდის“ ახალ ეტაპზე მსურველთა რეგისტრაცია იწყება. პროგრამის მიზანია, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მოქალაქეებს ახალი პროფესიის დაუფლებასა და დასაქმებაში, ასევე, მეორე მხრივ, გიზნესს – კადრების მოძიებაში.

„პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე სემესტრში მოქალაქეების მომზადება/გადამზადება განხორციელდება 40-ზე მეტ სპეციალობაში მშენებლობის, ინჟინერიის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კვების, ტურიზმის, მომსახურების, დიზაინის, ტრანსპორტის, ვეტერინარიის, ჯანდაცვისა და ფინანსების სფეროებში. წელს პირველად დაემატება კინოგამნათებლობისა და დეკორატიული ლესვის კურსები“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე ინფორმაციით, ბენეფიციარების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია თბილისში რეგისტრაცია და სრულწლოვანება, კურსების ხანგრძლივობა ერთიდან შვიდ თვემდეა, სასწავლო პროცესი კი როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავს.

„აქვე მოგახსენებთ, რომ პროგრამის ფარგლებში უკვე გადამზადდა 8 000-მდე ადამიანი და დასაქმების მაჩვენებელი სწავლის დასრულებისთანავე შეადგენს, დაახლოებით, 70%-ს. ძალიან მაღალი მაჩვენებელია, თუმცა არსებობს რესურსი, რომ აღნიშნული მაჩვენებელი გავზარდოთ და დასაქმების შესაძლებლობა მეტ ადამიანს მივცეთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან შესაძლებელი იქნება თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაჩქარებული მომსახურების მიღება.

თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ახალ სერვისს ნერგავს – 1 დეკემბრიდან მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურებით ისარგებლონ.

„კიდევ ერთი სიახლე გვაქვს – 1 დეკემბრიდან შესაძლებელი გახდება მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირს, შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, შესაძლებლობა ექნება, მიიღოს მის ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაცია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის დამტკიცების, მშენებლობის ნებართვის გაცემის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესზე, ასევე, განმარტება აღმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოვლენილი ხარვეზების თაობაზე. ბევრი მოქალაქე ვერ ერკვევა აღნიშნულ დოკუმენტაციაში და ხშირად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. მაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს ბევრი არაკეთილსინდისიერი ადამიანი, რომელიც ეუბნება მათ, რომ დაეხმარება და მიდის თანხების გამოძალვა. შესაბამისად, იმისთვის, რომ ეს ყველაფერი თავიდან ავიცილოთ, მუნიციპალიტეტი მომხმარებელს სთავაზობს კონკრეტულ სერვისს, პერსონალურ კონსულტანტს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება სერვისის საფასურს, თბილისის მერის თქმით, პერსონალური კონსულტანტის 3-თვიანი მომსახურების საფასური იქნება 6 000 ლარი, თუ ობიექტის ფართობი არ აღემატება ერთ ჰექტარს; 12 000 ლარი, თუ ობიექტის ფართობი მეტია ერთ ჰექტარზე, მაგრამ არ აღემატება ხუთ ჰექტარს; 30 000 ლარი, თუ ობიექტის ფართობი მეტია ხუთ ჰექტარზე.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ყურადღება ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემაზეც გაამახვილა და ადგილობრივ მოსახლეობას კუთვნილი ავტომობილების საცხოვრებელ სახლთან უფასოდ გასაჩერებლად, მისამართის მიხედვით რეგისტრაციისკენ მოუწოდა. გარდა ამისა, სხდომაზე აღინიშნა, რომ პირველ ოქტომბერს დაგეგმილი კონცერტის გამო, კონკრეტულ მარშრუტებზე ავტობუსების მოძრაობის დრო გახანგრძლივდება.

„პირველ ოქტომბერს, „დინამო არენაზე“, ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული, ქართველი მსმენელისთვის ძალიან საყვარელი მომღერალი ბრუნო მარსი, თავის ბენდთან ერთად, მსმენელის წინაშე წარდგება. სასიხარულოა, რომ ეს მოვლენა ემთხვევა „თბილისობის“ დღესასწაულს. როგორც „სთარრინგ ჯორჯიას“ წინა კონცერტზე, ახლაც მივიღეთ გადაწყვეტილება, გახანგრძლივდეს კონკრეტულ მარშრუტებზე ავტობუსების მოძრაობის დრო კონცერტის ღამეს, 02:00 საათამდე. მნიშვნელოვანია, რომ ხელი შევუწყოთ კონცერტზე მისულ მოქალაქეებს, რომ სახლში დროულად დაბრუნება მოახერხონ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კახა კალაძემ „თბილისობა 2023“-ის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზეც ისაუბრა, რომელიც სამ ლოკაციაზე გაიმართება. მრავალფეროვანი პროგრამის გარდა, რომელიც ორი დღის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი, 30 სექტემბერს რიყის პარკში დაგეგმილია ქართველ შემსრულებელთა კონცერტი, ხოლო 1 ოქტომბერს – მიუზიკლი.

მისივე თქმით, 30 სექტემბერს გაიმართება საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია, რომელსაც მაყურებელი პირდაპირ ეთერში იხილავს.

„ვინც გეგმავს ამ უქმეების სასიამოვნოდ გატარებას, უსათუოდ გაეცანით პროგრამას, რომელიც ძალიან მრავალფეროვანი და ღონისძიებებით დახუნძლულია. მოგზრძანდით ყველა, თქვენი შვილებით, შვილიშვილებით და ერთად ვიზეიმოთ „თბილისობა 2023“, – დასძინა კახა კალაძემ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲐ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲣᲬᲧᲔᲑᲝᲓᲘᲗ, რუსეთი „მეგობრული და ნეიტრალური ქვეყნების“ წარმომადგენელ საკრედიტო ორგანიზაციებსა და ბროკერებს თავის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობებსა და ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე წვდომას უხნის. მსგავსი ქვეყნების ჩამონათვალში, რომელიც დღეს პრემიერმა მიშუსტინმა დაამტკიცა, ყველა ყოფილი სსრკ რესპუბლიკაა, ბალტიისპირეთის ქვეყნების, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს გარდა.

ჩამონათვალში არიან, კერძოდ, აზერბაიჯანი და სომხეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ასევე ალჟირი, ბანგლადეში, ბრაზილია, ვენესუელა, ვიეტნამი, ეგვიპტე, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ყატარი, ჩინეთი, კუბა, მალაიზია, მაროკო, მონღოლეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ომანი, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სერბეთი, ტაილანდი, თურქეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

რუსული მედიის ინფორმაციით, თავდაპირველად ვაჭრობებზე 44 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს დაშვებაც იყო დაგეგმილი, თუმცა მოგვიანებით სია 32 ქვეყნამდე შემოკლდა.

„საქართველო სიაში იმიტომ არაა, რომ ეს ქვეყანა ერთდროულად თითქოს არამეგობრულიცაა და მეგობრულიც. საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს, სამომავლოდაც იმეგობრებს რუსეთთან თუ არა. ამაზე იქნება დამოკიდებული, მოხვდება თუ არა მომავალში სიაში“, – განუცხადა გამოცემა BFM-ს რუსული ფინანსური სკოლის დამფუძნებელმა ანდრეი პლოტნიკოვმა.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: 2022 წლის მარტში რუსეთის მთავრობამ არამეგობრული ქვენების ჩამონათვალი დაამტკიცა. მასში არ მოხვდა საქართველო, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ დასავლურ სანქციებს არ შეუერთდა.

ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲗᲑᲘᲡᲨᲘ

ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

სამეცნიერო კონფერენცია „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – მიმდინარე გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“ დღეს ბათუმში გრძელდება. კონფერენცია კავკასიისა და ევროპის რეგიონში უნიკალურია და მასში მონაწილეობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხუთი მოსამართლე ქართველ და უცხოელ პროფესორებთან ერთად იღებს.

მისი მიზანია საზოგადოებაში, განსაკუთრებით, სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებში გააღრმაოს ცოდნა და დაინტერესება საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინისა და მართლმსაჯულების, კერძოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის მიმართ. ზოგადად, საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოსა და რეგიონში, მნიშვნელოვანია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და უკრაინის მოვლენების კონტექსტში.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ ᲓᲐ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲛᲔᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ (IAP) 28-Ე ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ირაკლი შოთაძემ კონფერენციის პირველი სამუშაო სესია გახსნა. პლენარული სესიაში თემაზე – „პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის ხელახალი შეფასება“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გენერალური პროკურორები მონაწილეობდნენ. ირაკლი შოთაძემ კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარა ინფორმაცია საქართველოს პროკურატურის მიერ ტრანსნაციონალური კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

ამართლის საქმეებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურა წარმატებით თანამშრომლობს ევროპის საგამოძიებო უწყებებთან, მათ შორის თაღლითური ქოლ-ცენტრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.



ვიქტორ ნოზაძე:

„არ შემიძლია დავბრუნდე, სანამ სამშობლო მოსკოვის მპყრობელობაშია“

(პირველი გვერდიდან)

რუსთველოლოგიური შრომებიდან ვიქტორ ნოზაძეს ასევე გამზადებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის სიბრძნისმეტყველება“, რომელიც 1978 წელს ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა. როგორც მეცნიერის ძმამ, გიორგი ნოზაძემ შენიშნა ჟურნალის ამავე ნომერში, გამოუქვეყნებელი დარჩა:

> **1. ვეფხისტყაოსნის გონებათმეტყველება; 2. ვეფხისტყაოსნის სულთამეტყველება; 3. ვეფხისტყაოსნის მჭევრმეტყველება; 4. ვეფხისტყაოსნის ფსიქოლოგიის მეტყველება; 5. ვეფხისტყაოსნის ნებათმეტყველება; 6. ვეფხისტყაოსნის საზოგადოების ცნებანი; 7. ვეფხისტყაოსნის ცნება ცნობა; 8. ვეფხისტყაოსნის ესთეტიკა; 9. ვეფხისტყაოსნის ტანთმეტყველება; 10. ვეფხისტყაოსნის გულთამეტყველება.**

ვიქტორ ნოზაძემ ასევე დატოვა მრავალი ხელნაწერი შრომა და ნარკვევი, როგორც რუსთაველზე, აგრეთვე ისტორიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ თემებზე. ქართული პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ემიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის **გიორგი წერეთლის** შენიშვნით, ანდაზამ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ვიქტორ ნოზაძის მაგალითზეც გაამართლა:

> **„ემიგრანტობის „ჭირმა“ ვიქტორ ნოზაძეს საშუალება მისცა ევროპის და ამერიკის მიბლიოთეკები გადმოექექა და, თავი მოეყარა იმ მდიდარი ცოდნისათვის, რაც კაცობრიობას დასაბამიდან შეუქმნია. მარტო ეს დაგროვილი, იშვიათი მასალები, უდიდეს სამსახურს გაუწევენ სრულ და ყოველმხრივ ცოდნას მოწყურებულ თანამედროვე და მომავალ ქართველ ახალგაზრდობის თაობებს“.**

თუმცა მრავალმხრივი ნიჭისა და მრავალფეროვანი საქმიანობის მიუხედავად, ვიქტორ ნოზაძის მთავარი ვნება მაინც „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა, უფრო ზუსტად, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, რუსთველის უკვდავი პოემის მეცნიერული თანმიმდევრობით „ჩხრეკა“ იყო. ყველაფერი კი მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებში დაიწყო.

> **„ეს იყო 1945 წელს. ვიქტორ ნოზაძე რუპოლდინგში ცხოვრობდა. ვერ წარმოიდგენთ რა რთულ პირობებში არსებობდა მაშინ გერმანია. არ იყო განათება, გათბობა, სასმელ-საჭმელი... როდესაც მის ოთახში შევედი, ასეთი სურათი დამხვდა: ყოველი მხრით ეწყო „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემები, ათასგვარი ლიტერატურა; თაროები სავსე იყო წიგნებით, მაგიდაზე კი იდგა ერთი ქართული საბეჭდი მანქანა, რომელიც ისე ძველი იყო, რომ არქაულად გამოიყურებოდა. ჩვენი ვიქტორი იჯდა მაგიდასთან და საბანში გახვეული უკაკუნებდა საწერ მანქანაზე. ჩვენ შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდა, მან გვითხრა, რომ ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ გამოკვლევა. რა ვიცოდით, რომ ეს გამოკვლევა ასეთი დიდი მასშტაბით და დიდი ერუდიციით იქნებოდა დაწერილი“**, – ეს მოგონება ეკუთვნის „რადიო თავისუფლების“ ქართული რედაქციის დირექტორს 1963-1984 წლებში, **კარლო ინასარიძეს**, რომელმაც დიდ მეცნიერთან ვრცელი ინტერვიუ 1966 წელს ჩაწერა.

ვიქტორ ნოზაძემ მთელი დარჩენილი სიცოცხლე, 30 წელი დაუთმო „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას და, როგორც პროფესორმა გურამ შარაძემ შენიშნა მეცნიერზე დაწერილ ვრცელ წერილში, სიმბოლურია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებივით მანაც ვრცელი არეალი შემოიარა – გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ჩილე, ბრაზილია, ესპანეთი და ბოლოს, ისევ საფრანგეთი და ამ ოცდაათწლიანი „ველად გაჭრის“ მეტად მძიმე პირობებში, ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, მარტოდმარტომ, დიდი ნიჭისა და ურყევი ნებისყოფის წყალობით, შექმნა ექვსი მონუმენტური ტომი.

ლევილის მამულში, სადაც ვიქტორ ნოზაძე უკანასკნელ წლებში გადასახლდა, მეორე სართულზე მოწყობილ კაბინეტში მუშაობდა, სადაც ფანჯარას გარეთა მხრიდან ზარი ჰქონდა მიმაგრებული.

> **„ზარის ბაწარი ქვედა სართულამდე ეშვებოდა და ასე ატყობინებდნენ მას საღილის დროა, ვახშმის დროაო“,** – იხსენებდა მიხეილ ქავთარაძე.

მაინც რა იყო ვიქტორ ნოზაძისთვის რუსთველი და მისი პოემა? ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მეცნიერის მიერ ჟურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნებული ესსე „შოთა რუსთაველს“, რომლის მიხედვით, ქართველი ერი და რუსთაველი ერთმანეთის განუყოფელი ნაწილები არიან. ესსეს ფინალში მეცნიერი მიმართავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს:

> **„სიყვარული, პოეზია და გალობა. სილამაზე და შვენიერება, კეთილობა და მოწყალება, მეგობრობა და ძმობა, სამართლიანობა და მისთვის თავდადება, მისთვის თავგანწირვა, სამშობლოს თავისუფლება, თანასწორობა ხალხთა, ყველაფერი ეს გარდაუვალია, წარუვალი, მუდმივი. ყველაფერი ეს საკაცობრიოა. საერთაშორისო... ამას უგალობ შენ! და ქართველი ერი ასეთი წარმტაცი გალობით ტკბება! შენი მომხიბვლელი გალობითა და ბრძოლის მიზნებით შენ მასთან ერთად საერთაშორისო განათლებული საზოგადოების წრეში იმყოფები. ქართველი ერი სიყვარულითა და სიხარულით ინაწილებს და თავისად მიიჩნევს შენ მოძღვრებას. შენ ბრძანდები მისი უზენაესი მოძღვარი! და ქართველი ერი შენთან ერთად არის ამ საკაცობრიო, საერთაშორისო – ნატრიონისათვის ბრძოლაში და მხარდამხარ მიგყვება შენ! და შენთან ერთად დარწმუნებული არის, რომ ეს ნატვრა ერთ დღეს სინამდვილედ გარდაიქცევა! ამიტომ ბრძანდებით შენ და ქართველი ერი განუყოფელი, განუშორებული და განუყრელი! თქვენ იცოცხლებთ ერთად მარადჟამს! იცოცხლებთ უკუნითი უკუნისამდე!.. სანამ მზე მზეობს! და ეს მსოფლიო ცოცხლობს!..“**

„ვეფხისტყაოსანი“ და საქართველო, მისი კულტურა და წარსული... თუმცა, გიორგი წერეთლის თქმით, ვიქტორ ნოზაძე მარტო წარსულის მკვლევარი როდი იყო:

> **„ის იყო, ასევე, თავის დროის აქტიური მოქალაქე. როცა ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ურდოებმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრეს, ვიქტორ ნოზაძე უცხოეთში იყო ცოდნის გასაღრმავებლად. მან უარი თქვა დაპყრობილ სამშობლოში დაბრუნებაზე და ამ დღიდან მოყოლებული, ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია. როცა ქვემეხები და ტყვიამფრქვევები დადუმდნენ, მან კალამი იმიშვლა, და ყველამ უწყის, თუ მისი კალამი როგორი ბასრი იყო“.**

საქართველოს I რესპუბლიკა ერთი წლის იყო, როცა მთავრობამ გამოიტანა გადაწყვეტილება ქართველი ახალგაზრდების ჯგუფის ევროპის უნივერსიტეტებში გაგზავნის შესახებ. ეს ჯგუფი (70 წარჩინებული ახალგაზრდა) ევროპული ცოდნით შეიარაღებული უნდა დახმარებოდა მთავრობას მომავალში სახელმწიფო მმართველობის საქმეში. სწორედ ამ ჯგუფში იყო ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც ქუთაისის ქართული გიმნაზიის ოქროს მედალზე დასრულების შემდეგ, უკვე მოესწრო მოსკოვის უნივერსიტეტში ჩაბარებაც და უკან, გათავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნებაც. სამშობლოში, სადაც მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდა როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში, ასევე გაზეთების „ერთობისა“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემაში.

> **„ევროპისათვის გაცნობას, ევროპაში სახელის ქონას დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ჩვენთვის, რომელნიც გუშინ გამოვედით საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთი პროპაგანდა არ სჭირდება პოლონეთს, არ სჭირდება ფინეთს, მაგრამ მეტის მეტად გვჭირდება ჩვენ. როდესაც ევროპიელი ინტელიგენტი გეკითხება, როდესაც ჟურნალისტი გეუბნება, – თქვენ ქართველი ხართ, ოო, მე კარგად ვიცნობ თქვენს ქვეყანას, თქვენ ამერიკელი ხართო, – როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე? მაგრამ განა მარტო ამისთვის არის საჭირო პროპაგანდა-აგიტაცია, რომ მარტო „ინტელიგენტურ“ მასას გააცნო საქართველო? საჭიროა პროპაგანდა მთელი ხალხისთვის მთელი მასისთვის, რომლის ხმას ევროპაში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. პარიზის ერთ გაზეთში ჟან-ტიზონის ერთი და ორი წერილის დაბეჭდვა არ კმარა, ერთი ან ორი წიგნის გამოცემა ვერ დაკმაყოფილებს საქმეს, საჭირო იყო და არის მუშაობა ამ პროპაგანდისთვის, რაც სამწუხაროდ და სავალალოდ ხეირიანათაც კი არ მიმდინარეობს“**, – წერდა ვიქტორ ნოზაძე 1920 წელს გაზეთ „ერთობის“ 168-ე ნომერში ევროპაში საქართველოს ცნობადობის გაზრდის აუცილებლობაზე.

ვიქტორ ნოზაძეს კალამი მართლაც მახვილივით ჰქონდა შემართული. ის ყველა საჭირბოროტო საკითხს ეხმიანებოდა როგორც პერიოდულ გამოცემებში, ასევე ყოფით ვითარებებშიც. ვიქტორ ნოზაძის ძმა, **გიორგი ნოზაძე** იხსენებს:

> **„მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში, პარიზში „ტროკადეროს“ ძველი სასახლე დაანგრიეს და მის ადგილზე ააშენეს „შაიოს“ დიდი სასახლე, სადაც გახსნილი იყო „ადამიანის მუზეუმი“. მე და ვიქტორი ერთად წაველით მის სანახავად. დიდი იყო ჩვენი გაკვირვება, როდესაც მუზეუმის ქართულ სექციაში, დიდ დაფაზე აღნიშნულ ახსნა-განმარტებაში ამოვიკითხეთ, რომ პურის ხორბალი ჩვენში, თურმე რუსებს შემოეტანათ. ვიქტორმა დაწვრილებითი, დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა მუზეუმის დირექტორს; რის შემდეგ ეს სამარცხვინო წარწერა მოხსნილ იქმნა“.**

ვიქტორ ნოზაძე, რომელიც ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგების საყვარელი მოწაფე იყო მაღალი აკადემიური მოსწრების გამო, მერხიდანვე ქართველ სოციალ-დემოკრატებს თანაუგრძნობდა, რასაც განსაკუთრებით განიცდიდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სილოვან ხუნდაძე, რომელიც ყმაწვილ სოციალ-დემოკრატებს „გველის წიწილებს“ უწოდებდა. თუმცა ერთხელ, როცა „ქართული თემა“ ყველაზე უკეთ დაწერა, სილოვან ხუნდაძემ, როგორც თავად ვიქტორ ნოზაძე იხსენებს, სხვა მოწაფეებს ასე მიმართა:

> **„თქვენ რომ დიდად მოგაქვთ თავი ნაციონალისტობით, არაფრად ვარგიხართ. ყველაზე უკეთესად დასწერა ამ „წიწილმა“ (აღარ უთქვამს გველის წიწილი, მაგრამ ყველა მიხვდა) და მოაშვირა ხელი ჩემზე“.**

ვიქტორ ნოზაძე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან, თუმცა, ამის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე არ შეუცვლია მაღალი აზრი ილია ჭავჭავაძის შესახებ.

> **„გარდასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სიკვდილამდე ილია იბრძოდა და მისი სახელი იყო დროშა ეროვნული აღდგენისათვის გამართული ამ ბრძოლისა! იგი იყო უდიდესი პიროვნება ქართული ისტორიისა, დიდი მწერალი და შემქმნელი ახალი ეროვნული ბრძოლისა, გამომჭედი და გამომყვანი ერისა თავისი ვინაობის დასაცავად! და ეს დიადი პიროვნება ნაწამები დაეცა ტყვიით განგმირული წიწამურის ველზე!... მაგრამ ილია დღესაც არის სულიერი მპყრობელი საქართველოსი...!“**

სწორედ საქართველოსთვის ბრძოლაში გაატარა თვითონ ვიქტორ ნოზაძემაც თავისი ხანგრძლივი და შინაარსით სავსე სიცოცხლე, რომელიც სრულად მიუძღვნა საქართველოს კულტურის კვლევა-მსახურებასა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას.

> **„ჩვენი დაარსებული ჟურნალის „კავკასიონის“ პირდაპირი დანიშნულებაა, თავი მოუყაროს ქართული ემიგრაციის კულტურულ ძალებს. ასპარეზი მისცეს მათ თავისუფალ სიტყვას და მოგონებათა სახით ჩვენი წარსული სიმართლით და მართლად აღიწეროს, –** ამბობს მეცნიერი ერთ-ერთ ინტერვიუში, – **მნიშვნელოვანია მოგონებების დაბეჭდვა, ვინაიდან ახლო წარსულის მოგონებები ძალიან დამახინჯებული იქ (საბჭოთა საქართველოში). იყენებენ მოგონებებს თავისი მიზნებისათვის, ხოლო აქაური მოგონებები, რომლებიც „კავკასიონში“ იბეჭდება, ეს არის ნამდვილი, ხალასი ამბავი განვლილი ცხოვრებისა“.**

ვიქტორ ნოზაძემ ბოლომდე უერთგულა საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს პირველ რესპუბლიკას. 1966 წელს, როცა თბილისში რუსთაველის 800 წლისთავი აღინიშნებოდა, მეცნიერმა საქართველოდან მიიღო იუბილეზე დასასპატიჟებელი ბარათი. ვიქტორ ნოზაძეს საშუალება მიეცა ჩასულიყო სათაყვანებელ სამშობლოში, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე არ ენახა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს „რადიო თავისუფლების“ ქართული რედაქციის დირექტორის, **კარლო ინასარიძისათვის** მიცემულ ინტერვიუში, უარი თქვა მიპატიჟებაზე.

> **„რატომ ვთქვი უარი წასვლაზე, ეს თქვენთვის გასაგებია. მადლობა მოვახსენე მასპინძლებს და წასვლაზე უარი მოკლედ შევატყობინე. მათთან კამათი არ გამიმართავს, მივწერე მხოლოდ: თქვენგან ადვილად გასაგებ მიზეზთა გამო ვერ მოვალ თბილისს და ვერ დავესწრები საიუბილეო ღონისძიებას. მე არ შემიძლია სამშობლოში დავბრუნდე, სანამ იგი მოსკოვის მპყრობელობაშია. საბჭოთა კავშირი არ არის თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი. იგი არის მოსკოვის ვეებერთელა ციხე-სიმაგრე და მე მის ძირში მოვკვდები, მაგრამ შიგნით არ შევალ“.**

არც შევიდა. ვიქტორ ნოზაძის ძვირფასი სხეული ლევილის სასაფლაოზეა დაკრძალული. მასზე თქვეს, სიკვდილს შეურიგებლად, ქედმოუხრელად და, შეიძლება ითქვას, ფეხზე მდგომი შეეგება. კვდებოდა კაცი და სიკვდილი კი არ ადარდებდა, არამედ ის, რომ თავისი შრომები დაუმთავრებელი რჩებოდაო. პოეტმა გიორგი ყიფიანმა უკანასკნელ გზაზე მიმავალი უფროსი მეგობარი ასე გააცილა:

> **წინ გეგებება დიდი წარსული,**
> **გონით ნაზარდი მზე-დარბაზები,**
> **მიხვალ თავდახრით ეკლიან გზაზე,**
> **სამშობლოს ტვირთით მიემგზავრები.**
> **და თუ აქ უცხო გაგწირა ბედმა,**
> **თავზე დაგადგა სიკვდილის მოგვი,**
> **დარჩები კარდუს დიდი მსახური;**
> **მეფე პოეტის – რუსთველოლოგი...**

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ჟურნალისტი, ბლოგერი; პროზაული, პოეტური და დოკუმენტური კრებულების ავტორი.
„რადიო თავისუფლება“.

სომეხთა გენოციდის დრამა!..

სამი წლის განმავლობაში, ერთნახევარ მილიონზე მეტი სომეხი დაიღუპა

ქალაქ ერევნის ერთ-ერთ ბორცვზე სომხების გენოციდის მსხვერპლთა ხსენების მემორიალია აგებული, როგორც ოსმალეთის იმპერიის მიმართ მარადიული საყვედურის ნიშანი. თურქთა მიერ სომხების გენოციდზე ლაპარაკი, ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე, არასოდეს არ შეწყვეტილა და არასოდეს არ დაუკარგავს პოლიტიკური სიმწვავე. გენოციდი რომელიმე ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მოსპობის მიზნით ჩადენილი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

ეს ტერმინი, პირველად, პოლონელმა ებრაელმა იურისტმა, რაფაელ ლემკინმა, გამოიყენა ნაცისტების მიერ ევროპაში ებრაელთა განადგურების აღსაწერად. ისტორიას გენოციდის სხვა შემთხვევებიც ახსოვს: კონგოს მოსახლეობის ამოხოცვა, ულეტა რუანდაში, ჩრდილოეთ კავკასიელთა ძალადობრივი გადასახლება, გოლოდომორი უკრაინაში, ასირიელთა და ბერძენთა გენოციდი ოსმალეთის იმპერიაში და სხვა.

ისტორიულად, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე 100-ზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა, რომელთა მიმართ მუდმივად ხორციელდებოდა ასიმილაციის პოლიტიკა, ანუ ხდებოდა მათი გამუსულმანება და გათურქება.

იმ ხალხს, რომელიც ასიმილაციას ეწინააღმდეგებოდა, ოსმალეთის იმპერია მტრულად უყურებდა, მაგალითად, ბერძნებს, სომხებსა და ასირიელებს. ისინი დიდ შევიწროებას განიცდიდნენ. მე-19 საუკუნის ბოლოს, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ყველაზე მრავალრიცხოვანი ქრისტიანი ერები სომხები და ბერძნები იყვნენ. სომხური მოსახლეობის განადგურების პირველი მცდელობა მე-19 საუკუნის მიწურულს მოხდა. 100-დან 200 ათასამდე სომეხი დაიღუპა მაშინ.

1907 წელს, ხელისუფლება თურქეთში ახალგაზრდა თურქებმა ჩაიგდეს ხელში. მათ თურქული იმპერიის შექმნა სურდათ. სომხური საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, 1909 წლის 31 მარტს, გუბერნიის მმართველობის სხდომა ჩატარდა. მიღებული გეგმის მიხედვით, ციხიდან 500-მდე თურქი დამნაშავე გამოუშვეს და მუსლიმ მოსახლეობას იარაღი და ტყვიაწამალი დაურიგეს. პირველ აპრილს, ვითომდა, წესრიგის დასამყარებლად, სამხრეთ თურქეთის ქალაქ ადანას ქუჩებში, თურქულმა არმიამ სომხების ულეტა დაიწყო, რაც სამ დღეს გაგრძელდა და 30 ათასი სომეხი იმსხვერპლა. 1914 წლის აგვისტოში, თურქეთის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმამ, ახალგაზრდა თურქებს სომხების საბოლოოდ განადგურების ხელსაყრელი შესაძლებლობა მისცა. მოგეხსენებათ, რუსეთი და თურქეთი ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარეები იყო ომში. თურქები სომეხ მოსახლეობას რუსეთის მეხუთე კოლონად თვლიდნენ, და სწორედ მათი ამ განწყობის შესაბამისად გადაწყდა თურქეთიდან სომხების განდევნისა და განადგურების საკითხი. სომხების გენოციდი ორ ეტაპად დაიყო: პირველი, შრომისუნარიან მამაკაცთა დახოცვა, და მეორე, ქალების, ბავშვების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დეპორტაცია და მათი გაულეტა შესაბამის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით. ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ აღმოსავლეთ ანატოლიიდან, სირიის უდაბნოში, სომხების მასობრივი დეპორტაცია განახორციელა, რომლის შედეგად, ასეულ-ათასობით სომეხი დაიღუპა. მათი უმრავლესობა მოკლეს, ან შიმშილსა და ავადმყოფობას შეეწირა. ხელისუფლებამ 250-მდე სომეხი ინტელექტუალი და თემის ლიდერი დააპატიმრა და სიკვდილით დასაჯა. სომხები, რომლებიც ოსმალთა არმიაში მსახურობდნენ, განაიარაღეს და სიცოცხლეს გამოასალმეს, მათი დანატოვარი ქონება კი, კონფისკაციას დაუქვემდებარეს. სომხური მოსახლეობის განადგურება ოსმალეთში 1915-დან 1918 წლამდე გაგრძელდა. სამი წლის განმავლობაში, ერთნახევარ მილიონზე მეტი სომეხი დაიღუპა, ან ლიბანსა და სირიაში გაიქცა. დანარჩენები კი, უდაბნოს გავლით გადაასახლეს, სადაც ბევრი მათგანი შიმშილსა და ფიზიკურ უილაჯობას ემსხვერპლა.

ერთ მილიონზე მეტი ლტოლვილი სომეხი გაიფანტა მთელს მსოფლიოში. მომხდარის შემდეგ, თურქეთის ხელისუფლებამ ფორმალური გამოძიება დაიწყო, რათა ევროპული საზოგადოება დაეწყნარებინა, შეემსუბუქებინა სომხების პროტესტი და თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისთვის. ამიტომ, სომხების მაშინდელმა პოლიტიკურმა პარტიამ, დაშნაკებმა, გადაწყვიტეს, თავად ეძიათ შური და პირადად დაესაჯათ გენოციდის დამნაშავეები. შედგა შავი სია, რომელშიც 650 კაცამდე შევიდა. მიზანი მათი ლიკვიდაცია იყო. პირველი მკვლელობა თბილისში 1920 წელს განხორციელდა. მაშინ, სომეხმა რადიკალებმა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი ფათალი-ხან-ხოისკი მოკლეს. ყველაზე მეტად გახმაურებული თურქი ფაშების მკვლელობები იყო. 1921 წელს ბერლინში, თალაათ-ფაშა, 1922 წელს თურქესტანში – ენვერ-ფაშა და იმავე წელს თბილისში, ჯემალ-ფაშა გამოასალმეს სიცოცხლეს.

სომხების გენოციდი აღიარებულია და გასამართლებულია ბევრი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ჯერ კიდევ, გენოციდის წლებში, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა მკაცრად დაგმეს თურქეთის საქციელი. პირველმა, ოფიციალურად, ურუგვაიმ აღიარა და გაასამართლა სომხების გენოციდი, 1984 წელს, ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა, მოგვიანებით, ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა, საფრანგეთმა და სხვებმა, თუმცა, სომხების გენოციდის აღიარების პრობლემა დღემდე არსებობს.

თურქეთში სისხლის სამართლის კოდექსი გამოიყენება მათ მიმართ, ვინც სომხების მასობრივ მკვლელობებზე ხმამაღლა საუბრობს. მათ შორისაა, ნობელის პრემიის ლაურეატი, თურქი მწერალი, ორჰან ფამუკი. თურქეთის ხელისუფლება სომხების ხოცვა-ულეტას ტრაგედიად კი მიიჩნევს, მაგრამ გენოციდად არ აღიარებს.

მსოფლიო ექსპერტები სხვადასხვაგვარად განმარტავენ თურქეთის ასეთ განწყობას: ერთი, რომ თურქეთი შიშობს, აღიარების შემთხვევაში, მსოფლიო არენაზე თურქეთის ავტორიტეტი დაზიანდება და ერს თავმოყვარეობა შეელახება. გარდა ამისა, სომხებმა, შეიძლება, მატერიალური ან ტერიტორიული კომპენსაცია მოითხოვონ. თურქული დიპლომატია, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არც სხვა ქვეყნებმა არ აღიაროს სომეხთა ეს ტრაგედია, როგორც გენოციდი. ერთი სიტყვით, მოვლენა მძაფრი პოლიტიკური დილემაა, რასაც მარტივად ვერ მივუდგებით...

სანქციები ზვავად გადაიქცევა?!

რუსეთი, უკვე, წელიწად-ნახევარზე მეტია, დასავლეთის უპრეცედენტო სანქციების ქვეშ ცხოვრობს. მსოფლიო ისტორიაში, ასეთი მასშტაბური სანქციები, დიდი ეკონომიკის მიმართ, პირველად დაწესდა. 40-ზე მეტმა ქვეყანამ დაუწესა რუსეთს ფინანსური, სავაჭრო და პიროვნული სანქციები. დასავლეთმა გაყინა რუსეთის სავალუტო რეზერვები, მდიდარ რუსებს ჩამოართვა იახტები და უძრავი ქონება, რუსეთის სახელმწიფო ბანკები გლობალურ ფინანსურ სისტემას ჩამოაშორა, უარი თქვა რუსეთისგან ნავთობის, ქვანახშირისა და სასუქის ყიდვაზე, აკრძალა მისთვის აღჭურვილობის, ტექნოლოგიებისა და ფუფუნების საგნების მიყიდვა. დასავლეთმა რუსეთი გარიყული ქვეყნების სიაში შეიყვანა. ქვეყანამ საქონლის გასაღების უმდიდრესი ბაზრები დაკარგა და დასავლური სესხების, სპეციალისტების, ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გარეშე დარჩა.

მსოფლიოს თითქმის ყველა ექსპერტი წინასწარმეტყველებდა რუსეთში მძიმე ეკონომიკურ კრიზისს. მათი აზრით, თუ სანქციები ვერ დაანგრევდა რუსეთის ეკონომიკას, მძიმედ მაინც დააზიანებდა მას. ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ, ფაქტია, რომ წელიწად-ნახევრის შემდეგ, რუსეთის ეკონომიკა კრიზისში არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ზოგიერთ სექტორში, წარმოების ზრდაც კი შეინიშნება. კრემლს, ომისთვის, რატომღაც, ფული არ ელევა. რატომ არ მუშაობს სანქციები ისე, როგორც ეს ნავარაუდევი იყო? შეუძლია თუ არა სანქციებს, იქონიოს გავლენა ომზე? პასუხი ამ კითხვებზე არც ისე მარტივია, რადგან რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. სანქციები ზოგან მოქმედებს და ზოგან, არა. არსებული სტატისტიკის მიხედვით, სანქციები, რა თქმა უნდა, ეფექტურია. მაგალითად, რუსეთის მოსახლეობის ზოგადი მატერიალური სიმძლავრე 6 პროცენტით შემცირდა, წლიური შიდა პროდუქტი, 3 პროცენტით, მაგრამ ეკონომისტების აზრით, ეს უმნიშვნელო ციფრებია და რუსეთის ეკონომიკისთვის, დიდ თავისტკივილს არ წარმოადგენს.

კითხვაზე, თუ რატომ არ მუშაობს სანქციები, სპეციალისტების პასუხი მრავალწახნაგოვანია. მიზეზად, სამი ძირითადი ფაქტორი სახელდება: პირველი, რუსეთი, საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, რომელიც მდიდარია წიაღისეული რესურსით, ექსპორტზე გააქვს ნავთობი, ბუნებრივი აირი, ალმასი, ოქრო და სხვა.

დასავლეთმა კი დაადო ემბარგო რუსეთის წიაღისეულს, მაგრამ იგი არ არის რუსეთის ერთადერთი მდიდარი კლიენტი. გლობალური სამხრეთი მას გამალებით ეჯიბრება. შესაბამისად, რუსეთმა ენერგორესურსების ექსპორტისთვის ალტერნატიული ბაზრები მონახა ინდოეთსა და ჩინეთში, და არა მხოლოდ. დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს ბაზარზე ენერგორესურსების ფასების ზრდამაც. შარშან, რუსეთმა ენერგორესურსების ექსპორტიდან უფრო მეტი სარგებელი მიიღო, ვიდრე წინა წლებში. მაგალითად, 2022 წელი 10-პროცენტიანი მოგებით დაამთავრა.

მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ რუსეთმა, სანქციების გვერდის ავლით, ახალი სავაჭრო გზები გაკვალა: ცენტრალური აზიის ქვეყნები რუსული ექსპორტ-იმპორტის მთავარი დონორები და რეცეპიენტები გახდნენ სანქციების იგნორირებით. ამის გამო, მართალია, ფასები გაიზარდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოწინავე ტექნოლოგიის პროდუქტები შეუფერხებლად მოძრაობს ამ ქვეყნებს შორის. მესამე, და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა და კომპანია მოურიდებლად განაგრძობს რუსეთთან ვაჭრობას, რაც ფარისევლობას ჰგავს, მაგრამ ასეა. უკრაინის ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, ბევრმა დასავლურმა კომპანიამ დატოვა რუსეთის ბაზარი. რუსული მაღაზიებიდან გაქრა დასავლური ტანსაცმელი და პროდუქტები, მაგრამ ასე იყო მხოლოდ პირველი ორი თვე.

მოგვიანებით, რუსეთის ბაზარზე ისევ გამოჩნდა დასავლური ნაწარმი. დასავლეთის კომპანიები თავად კი გავიდნენ რუსეთიდან, მაგრამ შექმნეს გაყიდვების შუამავალი ფირმები ახალი სახელებით. ქაღალდზე, თითქოს, უცნობი კომპანია ვაჭრობს რუსეთში, მაგრამ სინამდვილეში ეს ვითომ წასული დასავლური კომპანიებია. ზუსტად ასეთი გზით იყიდება რუსეთში დასავლური მანქანები, პროდუქტები, ალკოჰოლი თუ ელექტროტექნიკა. შარშან, გერმანიამ, უნგრეთმა და ევროპის სხვა ქვეყნებმა რუსეთიდან ისევ შეისყიდა ენერგორესურსები და სასუქი. ამ ყველაფრის მიუხედავად, სანქციებმა მაინც დააზიანეს რუსეთის ეკონომიკა. ეკონომისტები დასავლეთის სანქციებს მთიდან დაგორებულ თოვლის გუნდას ადარებენ, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ზვავად გადაიქცევა. ისინი რუსეთის გაწბილებულ კრიტიკოსებს ურჩევენ, ცოტა მოიცადეთ და ნახეთ, რა მოხდებაო.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ყარაბაღში საწვავის საცავში აფეთქების შემზარავი შედეგები

ყარაბაღში, საწვავის საცავში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რიცხვი 68-მდე გაიზარდა, – ამის შესახებ „როიტერი“ წერს.

სააგენტოს ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად დაშავებულია, სულ მცირე, 300 ადამიანი, ხოლო დაკარგულად მიიჩნევა 105 ადამიანი. მედიის ცნობით, ადგილობრივებს რეგიონის დასატოვებლად საცავიდან საწვავს ურიგებდნენ, რის გამოც ტერიტორიაზე მრავალი ადამიანი იყო თავმოყრილი. ამასთან, რამ გამოიწვია აფეთქება, ამ ეტაპზე უცნობია. სომხეთში ყარაბაღიდან უკვე 28 120 ადამიანი ჩავიდა.

ვინც უკრაინა საომარი მოქმედებების დროს უკანონოდ დატოვა, სამართლებრივი პასუხისმგებლობა ემუქრება

იმ პირებს, ვინც უკრაინა საომარი მოქმედებების დროს დატოვა და ვისზეც სავალდებულო სამხედრო სამსახური ვრცელდება, სამართლებრივი პასუხისმგებლობა ემუქრება, – ამის შესახებ უკრაინის სასაზღვრო სამსახურის სპიკერმა ანდრეი დემჩენკომ განაცხადა.

მისი თქმით, კაცები, რომლებსაც გაწვევა ეხებათ, უკრაინის ტერიტორიის უკანონოდ დატოვებას განაგრძობენ, თუმცა ბოლო დროს ეს ფაქტები შემცირდა. ამისთვის სხვადასხვა ხრიკს მიმართავენ, ანუ იყენებენ ყალბ დოკუმენტებს ან სატრანსპორტო საშუალებების საბარგულებში იმალებიან.

დემჩენკოს თქმით, წესის დამრღვევთა უდიდესი ნაწილი დაკავებული იყო, ხოლო ვინც ქვეყნიდან გასვლა მაინც მოახერხა, სახლში იქნება დაბრუნებული და მათ პასუხისმგებლობა ემუქრებათ. კონკრეტულად რა სასჯელი ემუქრებათ იმ პირებს, ვინც უკრაინა უკანონოდ დატოვა, დემჩენკომ არ დააკონკრეტა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ:

ᲠᲝᲛᲐᲜ „ᲙᲣᲞᲝᲜᲐ“ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲝᲠᲛᲐᲒᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲰᲠᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ... ᲔᲡ ᲤᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲪᲧᲣᲘᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ!

...ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ მოვლენების ან ფაქტების დამახინჯების, გნებავთ გადაკეთების არაერთი მაგალითია, ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული. ამ ტიპის მცდელობების და ისტორიის გადაწერის მიზანი, ძირითადად იმ დროინდელი ცალკეული პირების, მმართველი ძალების ან იმპერიების ქმედებების გამართლება ან დიდების შარავანდედით შეფუთვა იყო. საბჭოთა კავშირის ისტორია ამ ფენომენის თავისებურ მაგალითადაც კი შეიძლება გამოდგეს ან თუნდაც რუსეთ-უკრაინის და სომხეთ-აზერბაიჯანის სამხედრო კონფლიქტში ისტორიული მოვლენების საკუთარი ინტერპრეტაციები. საკუთარი თავის ისტორიაში შეყვანის ყველაზე ცნობილი მაგალითი კი უდავოდ ჰეროსტრატეა, რომელმაც ძვ. წ. 356 წელს გადაწვა არტემიდას ტაძარი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ შვიდ საოცრებად მიჩნევა.

ეს მცირე ისტორიული რაკურსი კი იმისათვის მოვიყვანე, რომ როგორც ჩანს, საქართველოს უახლოესი ისტორიის, გადაწერის თუ დაკორექტირების მსურველად ჩვენთან რომან გოცირიძე გვევლინება. ბოლო დღეებია სურს დაამკვიდროს აზრი, რომ ის იყო ქვეყნის მთავარი რეფორმატორი და არც მეტი და არც ნაკლები, საბანკო და საფინანსო სისტემის ბურჯი, ხოლო დღევანდელი ხელისუფლება მიზანმიმართულად ანგრევს ჩვენი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ წამყვან მონაპოვარ ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას და ხატოვნადაც მიანიშნებს – ქალბატონმა თურნავამ ხელისუფლების ხელით „30 წამში ჩამოშალა 30 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკისადმი ნაშენები ნდობაო. რაც მთავარია, თუ მისივე განცხადებებს დავესესხებით ეს ნდობა, დიდწილად სწორედ მისი ნაშენები ყოფილა, სებ-ის ყოფილი პრეზიდენტებიც მას დაუფრთიანებია, ხოლო კუპონიზაცია სულაც სებ-ის ყოფილ პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს დაუბრალა.

ვფიქრობ, ამ საკითხზე ნოდარ ჯავახიშვილმა მას საკმაოდ არგუმენტირებულად უპასუხა და ისიც აღნიშნა, რეალურად თუ ვინ ჩამოაქცია მაშინ ქართული ეკონომიკა, ბუნებრივია რომან გოცირიძეზეა საუბარი. მე მეტს აღარ შევეხები. უბრალოდ აღვნიშნავ, რომ მისივე ბიოგრაფიიდან – 1992 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრად. იმავე 1992 წელს დაიკავა საქართველოს მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ეკონომიკური რეფორმების დარგში ვიცე-პრემიერის პოსტი, 1992 წლის ნოემბრამდე. კუპონა კი იმიტომაც უწოდეს, რომ ის მოუწოდებდა მოსახლეობას საბჭოთა რუბლების შეტანას ბანკში და მათ გაორმაგებასაც პირდებოდა. მართალია, კუპონი მიმოქცევაში 1993 წლის აპრილში შემოვიდა, როდესაც ის აღარ იყო მთავრობის წევრი და უკვე პარლამენტში იყო გადასული, მაგრამ იმ პერიოდში ქვეყანა რჩებოდა რა რუბლის ზონაში, ფაქტიურად არანაირი პრევენცია არ გაკეთებულა სიტუაციურ ანალიზზე მოსკოვი თუ შეგვიწყვეტდა ფულის ნიშნების მიწოდებას რა უნდა გაკეთებულიყო, ხოლო კუპონის შემოღება არა წინასწარ გათვლილი, არამედ უკვე იძულებით გადადგმული ნაბიჯი იყო.

შემდგომში სწორედ ეს გაუთვლელობა და სპონტანურობა გახდა კუპონისადმი უნდობლობის მთავარი მიზეზი ანუ იმ დროინდელი ქვეყნის ხელისუფლების სურვილი, რომელსაც ბატონი რომანი წარმოადგენდა „რუბლის ზონაში“ მუდმივი ან დროებითი დარჩენის შესახებ“, და ნაკლებად ფიქრით დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოებაზე, რაც მისი მოვალეობაც იყო, თან იმის ფონზე როდესაც მთავრობა რუსეთისათვის საკუთარი პრობლემების გადაბრალებისა და კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებდა. ეს ცოტა რამ ისტორიული წარსულიდან, რომლის გადაწერასაც ახლა ცდილობს...

ვფიქრობ, დღევანდელი მისი გააქტიურება კი არ არის შემთხვევითი, რადგან ახლა როდესაც ოპოზიციას სებ-ის ირგვლივ აგორებული სკანდალი არ გამოუვიდა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს. სურს თავიდან მოიცილოს „კუპონად“ წოდებული მეტსახელი, რაც მას ხალხმა ანუ ისტორიამ სამართლიანად შეარქვა და მეორე, წმინდა პოლიტიკური – ამ ნაბიჯით „დაარტყა“ არა მხოლოდ ნათია თურნავას, არამედ ნოდარ ჯავახიშვილსაც, რომელიც წლების წინ ბანკი „ქართუს“ მმართველი და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სახეც იყო.

ისტორიული რეალობა კი ცოტა სხვაგვარია და ახლა რასაც ვხედავთ ეს არის მისი მხრიდან მისი გადაწერის თუ დაკორექტირების წარუმატებელი მცდელობა და მეტი არც არაფერი.

დავიწყოთ იმით, რომ ყველა სხვა ბრალდებებს თუ პრეტენზიას თავი რომ დავანებოთ რომან გოცირიძე იყო ეროვნული ბანკის ყველაზე უდღეური მმართველი, რომელიც 2 წელიწადზე ცოტა მეტ დროში სკანდალურად ტოვებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტს, როდესაც მართლა უპრეცედენტო რამ მოხდა – დაიწვა ფულის საცავი, რის შედეგადაც ასი ათასამდე აშშ დოლარი განადგურდა, ხოლო 14 პირი, ვისაც უშუალო შეხება ჰქონდა ფულის შენახვასთან და უტილიზაციასთან, დაპატიმრებული იყო! ეს საქმე დღემდე დიდი ბურუსითაა მოცული, ხოლო მსგავსი სკანდალი მართლა არ ახსოვს ამ 30 წლის პერიოდში ქართულ საბანკო სისტემას, პრეზიდენტის ვადაზე ადრე გადადგომით და თუ სებ-ისადმი ნდობაზეა საუბარი, ყველაზე დიდი რეპუტაციული დარტყმა მაშინ მიადგა! ამასთან, მისი გადაგომის შემდეგ კიდევ არცთუ მცირე პერიოდში სებ-ს პრეზიდენტი არ ჰყავდა და ქვეყნის მთავარ ბანკს მოვალეობის შემსრულებელები მართავდნენ.

მართალია, ახალ ჰეროსტრატედ ვერ იქცა, უარყოფითი თიკუნის ტარებაც მძიმე რამ არის, თუმცა ვუსურვებ დაფიქრდეს, გააანალიზოს და ისტორიული რეალობა შელამაზების გარეშე დაწეროს, თუნდაც საკუთარი შეცდომების აღიარებით, რაც გაცილებით ღირებული იქნება ისტორიისა და მომავალი თაობისათვის“, – წერს ცუცქირიძე.

ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ:

ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲘᲝᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ!

„ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲘᲝᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ“, – ამის შესახებ „ენმ“-ს წევრმა ნიკა მელიამ „მთავარი არხის“ ეთერში „ენმ“-ში დარჩენის საკითხზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, პარტიაში ფუნდამენტური განსხვავებებია ბევრ საკითხთან მიმართებით.

„ყველამ ვიცით, რომ ჩვენთან პარტიაში მძიმე რეალობაა. გამოსავალს ერთობაში ვხედავ, მაგრამ ეს ერთობა არ შეიძლება აღქმული იყოს მხოლოდ ერთ საარჩევნო სიაში ან ერთ პარტიულ სტრუქტურაში ან მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთად ყოფნაში. პარტიის თავმჯდომარის არჩევნები არაფერ შუაშია მას შემდეგ, რაც მოხდა.

არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ სხვა პლატფორმიდან მოგვიწიოს ბრძოლა, მაგრამ ეს არ არის ჩემი გადასაწყვეტი, ეს არ არის არც 10-20-30 ადამიანის გადასაწყვეტი, მაგრამ ვთანხმდებით, რომ ერთ ორბიტაზე საერთო მიზნის გარშემო აუცილებლად ვიქნებით“, – აცხადებს ნიკა მელია.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐᲪ ᲐᲑᲣᲜᲭᲓᲐ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო კონსერვატორიასთან გუშინ სტუდენტები, თანამშრომლები, მუსიკოსები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები იყვნენ შეკრებილნი. ისინი აპროტესტებდნენ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომლის გათვალისწინებით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო კომისიამ საარჩევნო პროცესი შეწყვიტა.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, ეს არის სამინისტროს მხრიდან რეპრესიული პოლიტიკის გაგრძელება და უმაღლესი სასწავლებლის დამოუკიდებლობაში უხეში ჩარევა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საარჩევნო კომისიამ გუშინ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ შეწყვეტილია რექტორის არჩევნების პროცედურა.

„საარჩევნო კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 25/09/2023 № 00033770 ბრძანებით გაუქმდა „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ივლისის №52/2023 დადგენილება. ამავე ბრძანების დაუყოვნებლივი აღსრულების მოთხოვნიდან გამომდინარე, შეწყვეტილია რექტორის არჩევნების პროცედურა“, – ნათქვამია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საარჩევნო კომისიის განცხადებაში.

ამასთან, კულტურის სამინისტრომ გავრცელა მეორე განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ უწყება მიესალმება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გადაწყვეტილებას რექტორის არჩევნების პროცედურის შეწყვეტასთან დაკავშირებით, ვინაიდან საარჩევნო პროცესი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზით მიმდინარეობდა.

„სამინისტრო გამოხატავს მზადყოფნას, დაეხმაროს კონსერვატორიას საარჩევნო პროცედურის კანონის შესაბამისად მომზადებაში, რისთვისაც ვადად განისაზღვრა ხუთი სამუშაო დღე. სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ ხარვეზი აღმოიფხვრება, რის შემდეგაც კონსერვატორია შეძლებს, რექტორის არჩევნები, კანონით დადგენილი პროცედურის მიხედვით, შეძლებისდაგვარად სწრაფად ჩაატაროს. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი რექტორის უფლებამოსილების ვადა არ იწურება მიმდინარე წლის 21 ოქტომბრამდე, რაც კონსერვატორიის უწყვეტად ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობაა“, – აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

კონსერვატორიის რექტორის არჩევნები 10 ოქტომბერს იყო დანიშნული.

ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲜᲘᲜᲝ ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲡ პრეზიდენტმა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** ცნობილი ქართველი მომღერალი **ნინო ქათამაძე** თავადი ოლღას ორდენით დააჯილდოვა.

„სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მხარდაჭერისა და მსოფლიოში უკრაინის სახელმწიფოს პოპულარიზაციისთვის ქალბატონი ნინო ქათამაძე დაჯილდოებულია თავადი ოლღას ორდენით. ვულოცავთ ამ მაღალ ჯილდოს! დიდი მადლობა მას მხარდაჭერისთვის, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს“, – წერია საქართველოში უკრაინის საელჩოს ფეისბუკ-გვერდზე.

ქართული ჯაზის ვარსკვლავი ნინო ქათამაძე აქტიურად გამოდის უკრაინაში რუსული აგრესიის წინააღმდეგ. 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ ქათამაძემ უკრაინელი ლტოლვილების დახმარების ფონდი დააარსა. ის ხშირად ატარებს საქველმოქმედო კონცერტებს, მათ შორის კიევში.



◎ ელადის მიწაზე

ისტორიაში პირველად

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით, ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (IFGW) ისტორიაში პირველად ჩაატარა ევროპის ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონატი აბსოლუტურ წონაში, რომელშიც 25-ზე მეტი ქვეყნის ფალავანი მონაწილეობდა, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში, ძველ ბერძნულ ამფითეატრში გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის კულტურული ნაწილის დაფინანსებისთვის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ 350 000 ლარი გამოიყო. ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ღონისძიებაში ნატო მეტონიძე, ვალერიან შიუკაშვილი, ბერძენი პიანისტი ზიზი ნასყიდაშვილი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ მონაწილეობდნენ. ასევე, გაიმართა ხრიდოლის წარმოდგენა, რომელსაც ახლდა ქართული ჭიდაობის განვითარების ამსახველი ვიდეომასალა და დოკუმენტური ფილმი უძველესი ფრესკების შესახებ, რომლებზეც ქართული ჭიდაობის სხვადასხვა ილეთია ასახული. გარდა ამისა, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ბერძენი შემსრულებლებიც: ანსამბლი Pirouta Dance Studio, ანსამბლი Q VIOLINS-ი და სოლისტი მარიანა გიორგიადუ.

ქართულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონის ტიტულსა და ოქროს მედალს ონისე ბუღაძე დაეუფლა, ვერცხლის მედლის მფლობელი საბა ინანეიშვილი გახდა, ხოლო ბრინჯაოს მედალი ლევან მატიაშვილს ერგო.

ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ნამდვილი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებითა და ფულადი პრიზებით: პირველი ადგილი – 20 000 ევრო; მეორე ადგილი – 10 000 ევრო; მესამე ადგილი – 5 000 ევრო. მათ გადაეცათ სხვადასხვა სპონსორის მიერ დაწესებული პრიზებიც.

ევროპის ჩემპიონ ონისე ბუღაძეს მედალთან ერთად გადაეცა ერთ-ერთი სპონსორის – შპს „ოქროს საწმისის“ მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი – ოქროს საკოლექციო ქანდაკება „ოქროს საწმისი“. ღონისძიება გააშუქა ბერძნულმა მედიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭიდაობა სპორტის უძველესი სახეობაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. მისი, როგორც სპორტის ეროვნული სახეობის, სიძველეს ადასტურებს ალავერდის ტაძრის კედელზე გამოსახული ჭიდაობის სცენაც. პერსონაჟების სახეები, ჩაცმულობა და პლასტიკა ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს ქართულ ტრადიციულ საჭიდაო ხელოვნებაზე. შეჯიბრებები საქართველოში რელიგიურ დღესასწაულებზეც იმართებოდა. ქართული ჭიდაობა ორასამდე ილეთსა და კონტრილეთს აერთიანებს. კლასიფიცირებულია ძირითადი ფანდები: ცერული, სარმა, თეძო, მოგვერდი, კისრული, ბრუნები და კაური. ქართული ჭიდაობის განუყოფელი ნაწილია მუსიკალური აკომპანემენტი – გამოიყენება ზურნა და დოლი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს ტრადიციული ქართული ჭიდაობა იუნესკო-ს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანეს, რითიც ქართული ჭიდაობის ელემენტების ექსკლუზიურობა, დადასტურდა.

◎ ტრიუმფის შემდეგ

ლერი აბულაძე:

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ, როგორც იქნა, ნავსი გავტეხე“



ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ ლერი აბულაძემ (63 კგ) კომენტარი გააკეთა. როგორც მან თქვა, ძალიან ბედნიერია და ეს გამარჯვება მწვრთნელების დამსახურებაა.

„ძალიან დიდი სიხარულია, რადგან ზედიზედ მესამე ფინალი იყო და როგორც იქნა, ნავსი გავტეხე. ძალიან გახარებული ვარ, მადლობა მწვრთნელებს, ექიმებს, მათი დამსახურებაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი“, – თქვა აბულაძემ.

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი ორი მედლით დაასრულა. აბულაძის ოქრომდე ნუგზარ წურწუმიამ ვერცხლი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ორივე არაოლიმპიურ წონაში გამოდის, შესაბამისად, ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე კლასიკოსებმა ლიცენზია ვერც ერთ წონაში ვერ მოიპოვეს.

◎ უცხო ხილი

არის მესამე!

საქართველოს ნაკრები ქვიშის ფეხბურთში ევროპის B დივიზიონის გათამაშებაში ნორვეგიის ნაკრებს დაუპირისპირდა და 3:2 დაამარცხა.

გუნდებმა ბოლო სამ დღეში მეორე მატჩი ჩაატარეს. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ჩვენი გუნდი ნორვეგიას მესამე-მეოთხე ადგილისთვის შეხვდა და ტურნირი საუკეთესო სამეულში დაასრულა.

საქართველოს ნაკრებმა ნორვეგიასთან ანგარიში დიაკვნიშვილის გოლით გახსნა. მალე სალვესონმა წონასწორობა აღადგინა და შესვენებაზე გუნდები 1:1-ზე გავიდნენ. მეორე ნახევარში იგივე გამეორდა, შამილიძემ ჩვენი გუნდი დააწინაურა, ნორვეგიელმა რაშმა კი ანგარიში 2:2 გახადა. გადამწყვეტი გამოდგა მატჩის მიწურულს ლომიძის გატანილი ბურთი.

ევროპის B დივიზიონის ჩემპიონი ლიეტუვა გახდა, ფინალში ბალტიისპირელებმა ჩეხეთს 3:2 მოუგეს.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე 5 მატჩი გამართა. მალტა 7:1 დაამარცხა, შვედეთი – 7:3, ნორვეგიასთან თამაში კი 3:5 დათმო. ნახევარფინალში ჩვენი ნაკრები ლიეტუვას დაუპირისპირდა და 2:5 დამარცხდა, ხოლო ნორვეგიასთან მესამე ადგილისთვის 3:2 მოიგო.

ორიოდე სიტყვით

რაგბი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს მექა გორგაძე გამოაკლდა. ის მსოფლიოს ჩემპიონატის დარჩენილ ორ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

გორგაძემ პორტუგალიასთან შეხვედრაში კოჭის ტრავმა მიიღო და როგორც გაირკვა, დაზიანება სერიოზულია. მის ნაცვლად ეროვნულ ნაკრებში ოთარ გიორგაძეს უხმეს, რომელიც მანამდე მსოფლიოს ჩემპიონატის საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ავსტრალიასთან წააგო, ხოლო პორტუგალიასთან ფრედ ითამაშა. „ბორჯღალოსნები“ 30 სექტემბერს ფიჯის შეხვდებიან, ხოლო ბოლო ტურში უელსს დაუპირისპირდებიან.

წყალბურთი

„დინამო თბილისმა“ წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე პირველი ტურის მატჩი ჩაატარა, რომელშიც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, იტალიურ „პრო რეკოს“ სტუმრად დაუპირისპირდა.

ანგარიში სწორედ „დინამოს“ წყალბურთელებმა გახსნეს, მაგრამ შემდეგ იტალიელებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს და მატჩის ბედი პრაქტიკულად პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს. „პრო რეკომ“ ოთხივე პერიოდი მოიგო და,შესაბამისად, გამარჯვებაც ადვილად მოიპოვა – 15:6.

„დინამო თბილისი“ B ჯგუფში უქულოდ პირველი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზეა, მომდევნო შეხვედრაში კი 6 ოქტომბერს პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ საკუთარ აუზში შეხვდება. დუბროვნიკი – ოლიმპიაკოსი 12:12.

ხელბურთი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „შამბერის“ მოთამაშე ნიკოლოზ კალანდაძემ გუნდთან ერთად საფრანგეთის სტარლიგის პირველი ორი ტურის მატჩები გამართა. იგი მეორე შეხვედრაში უშუალო კონკურენტ „მონპელიეესთან“ 6 გოლით გამოირჩა და „შამბერის“ რიგებში საუკეთესო იყო.

ნიკოლოზი მიუხედავად ორი მარცხისა („ნიმთან“ 31:29, „მონპელიეესთან“ 32:26) სტარლიგის ბომბარდირთა დავაში 13 გატანილი ბურთით ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს.

ფეხბურთი

პსუ-ს მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ კილიან მბაპეს ტრავმაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სერიოზული არაფერია. შესაბამისად, ფრანგი უახლოეს ხანში მოედანზე დაბრუნდება, თუმცა, ზუსტი დრო მაინც უცნობია.

„ის გრძნობს ტკივილს, მაგრამ ეს არ არის სერიოზული პრობლემა. მისი მოედნიდან გაყვანა ჭკვიანური იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერია. ის მალე იქნება ხელმისაწვდომი“, – თქვა ლუის ენრიკემ.

ძღვენი

რუსული სპორტული არხის, Match TV-ის ყოფილი გენერალური პროდიუსერი და ამჟამად პროპაგანდისტული „გაზპრომ მედიის“ გენერალური დირექტორის მოადგილე თინა კანდელაკი რუსეთის „თბილმა და ღუნღულა“ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

ამ უმაქნისი ინფორმაციის მოწოდებით არ გადავტვირთავდით ჩვენი პატივცემული მკითხველების ყურადღებას, რომ არა თინა კანდელაკის ერთობ ოდიოზური ფიგურა, რომელიც რუსეთის იმპერიის დიქტატორულ და კაციჭამია რეჟიმთან აგერ ამდენი წელია ურცხვად თანამშრომლობს და თავის ქართულ წარმომავლობას, სამწუხაროდ, მუდამ უსვამს ხოლმე ხაზს.

კოლხური ხოხობი, კაკაბი, გნოლი და როჭო ბუნებას უბრუნდება!

გადაშენების პირას მყოფი კოლხური ხოხობი, რომელიც საქართველოში უხსოვარი დროიდან ბინადრობდა, ბუნებას უბრუნდება. უნიკალური პროექტი ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახის ქველმოქმედებაა. მასშტაბური პროექტს საქველმოქმედო ფონდი „აგრო ქართუ“ ახორციელებს.

„კოლხური ხოხობი საქართველოს ბუნებისთვის დამახასიათებელი, ენდემური სახეობაა, რომლის რაოდენობა ამ დროისთვის კრიტიკულად შემცირებულია და სამონადირეო ნაკრძალების გარდა, იშვიათად გვხვდება. იმ ტერიტორიებზე, სადაც ხოხბები ბინადრობდნენ, მათი თავიდან მოშენების პროცესი მიმდინარეობს. კოლხური ხოხობი, კაკაბი, გნოლი და როჭო - ეს იმ ფრინველების სახეობების ჩამონათვალია, რომელთა ბუნებაში დაბრუნების პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთი კვირაა აქტიურად ხორციელდება. პროცესი კიდევ ორი კვირა გაგრძელდება.

თითოეული სახეობისთვის ბუნებაში ადგილი იმ ტერიტორიებზე შეირჩევა, სადაც ხოხბები თავიდანვე ბინადრობდნენ და სადაც მათი არსებობისთვის საჭირო მდელო, დაბლობი, ჭალა თუ ტყის მასივია. გადაშენების პირას მყოფი კოლხური ხოხბები უკვე გაუშვეს იმერეთში, ზესტაფონის, თერჯოლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. უკვე ბუნებაში დაბრუნებული ფრინველების დაცვის საქმეში ჩართული არიან როგორც გარემოს დაცვის სააგენტოს რეინჯერები, ისე ველური ბუნების საგენტოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები“, – ნათქვამია სიუჟეტში.

აქვე აღნიშნულია, რომ აგრო კომპლექსი, სადაც გადაშენების პირას მყოფი ფრინველების ენდემური სახეობების აღდგენა და გამრავლება ხდება, საჩხერეში, სოფელ ჭორვილაში მდებარეობს.

„დასახლებული პუნქტისგან დაშორებით განთავსებულ კომპლექსში ფრინველების მოვლა-პატრონობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ფერმაში ოთხი სახეობის ფრინველის – კოლხური ხოხობის, კაკაბის, გნოლის და როჭოს მოშენება ხდება. იმ დრომდე, ვიდრე ფრინველებს ბუნებაში დააბრუნებენ, სამი ეტაპის გავლაა საჭირო. თავდაპირველად თითოეული სახეობა დახურულ სივრცეში, მისთვის დამახასიათებელი ტემპერატურული და კვების რეჟიმის დაცვით, 3-დან 4 თვემდე იზრდება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ფრინველები გარე სივრცეში მოწყობილ ასევე სპეციალურ ვოლიერებში გადაჰყავთ, სადაც უკვე გარემო პირობებთან ადაპტაცია ხდება. მესამე ეტაპი ველურ ბუნებასთან მიახლოებულ პირობებში ყოფნაა.

ამისთვის აგროკომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ტყის ნაწილი სპეციალური გადით არის შემოსაზღვრული. სივრცეში ფრინველებისთვის ხელოვნურად არის შექმნილი როგორც დაბრკოლებები, ისე თავშესაფრები. აღნიშნული ეტაპის გავლის შემდეგ, აგროკომპლექსიდან ფრინველების გაცემა და მათი ბუნებაში დაბრუნება ხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ აგროკომპლექსის ტერიტორიაზე მოწყობილია კომბინატიც, სადაც ფრინველების საკვების ადგილზე დამუშავება ხდება“, – ნათქვამია სიუჟეტში.

მამულიშვილური საქმე – ასე აფასებენ საქველმოქმედო ფონდ „აგრო ქართუ“-ს მიერ ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით დაწყებულ მასშტაბურ პროექტს ადგილობრივები.

სპეციალისტების გათვლა ასეთია: ბუნებაში დაბრუნებული იშვიათი ფრინველების 50 %-ის გადარჩენის შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნება აღდგება, რაც ქვეყნის დაცული ტერიტორიებისა და ზოგადად ქვეყნის მიმართ ინტერესს გაზრდის.

„რეპორტიორი“

ქუთაისში ავარიას სამი ადამიანი ემსხვერპლა

ქუთაისში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავარია ავტომშენებლის ქუჩაზე მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი მეორე ავტომობილს შეეჯახა. გარდაცვლილია ერთ მანქანაში მყოფი სამი ქალი, ორი დაშავებული კლინიკაში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა სტაბილურია. ადგილზე სამაშველო და საპატრულო ჯგუფები იყვნენ მობილიზებული, დაწყებულია გამოძიება.

278 208 ლარის არადეკლარირებული საქონელი სადასლოზე

„მეგაუე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის რ.მ-ს მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილის დეტალური დათვალიერების შედეგად, სპეციალურად მოწყობილ სამალავში (მისამელის იატაკში მოწყობილ სამალავში) 40 320 კოლოფი თამბაქოს ნაწარმი (ე.წ. საღეჭი თამბაქო) აღმოაჩინეს.

არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 278 208 ლარი შეადგინა. საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“.

სერგეი შოიგუ უკრაინასთან ომს მინიმუმ 2025 წლამდე ვარაუდობს

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ გენერლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ უკრაინასთან ომი 2025 წლამდე გაგრძელდება.

მისი თქმით, რუსული ჯარი აგრძელებს საგრძოლო ძალის ზრდას, რასაც ხელს უწყობს თანამედროვე შეიარაღება და სპეციალური სამხედრო ოპერაციის გამოცდილების გათვალისწინებით სამხედროების გადამზადება.

„2025 წლამდე გეგმის თანმიმდევრული განხორციელება საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ მიზნებს“, – განაცხადა შოიგუმ.

ლუკაშენკომ ბელარუსის მოქალაქეებს დრონების გამოყენება აუკრძალა

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ მოქალაქეებს პირადი მიზნებისთვის დრონების იმპორტი და შენახვა აუკრძალა. ლუკაშენკომ შესაბამის განკარგულებას უკვე ხელი მოაწერა.

დოკუმენტის მიხედვით, სამოქალაქო დრონების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბელარუსის ტრანსპორტის სამინისტროს საავიაციო დეპარტამენტის ოფიციალური ნებართვის მიღების შემდეგ. თეორიულად, ასეთი ნებართვის მიღება შეუძლიათ ორგანიზაციებს და იურიდიულ პირებს, რომლებიც იყენებენ დრონებს ექსკლუზიურად „საქმიანი და პროფესიული საქმიანობისთვის“. განკარგულებაში ასევე ნათქვამია, რომ ბელარუსის მოქალაქეები, რომლებიც უკვე ფლობენ დრონებს, 6 თვე აქვთ იმისთვის რომ ისინი გაყიდონ. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, კერძო პირებს დრონების გამოყენება აკრძალული აქვთ.

THE GUARDIAN: ირანული დრონები, რომლითაც რუსეთი უკრაინას უტევს, 50-ზე მეტ ევროპულ კომპონენტს შეიცავს

Shahed-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები, რომლითაც რუსეთი უკრაინას უტევს, 50-ზე მეტ ევროპულ კომპონენტს შეიცავს. გამოცემა The Guardian-ის ცნობით, ამის შესახებ ნათქვამია საიდუმლო ანგარიშში, რომელიც უკრაინამ დასავლელ მოკავშირეებს გაუგზავნა. კერძოდ, Shahed-131 დასავლური კომპანიების მიერ წარმოებულ 52 ელექტრულ კომპონენტს შეიცავს, ხოლო Shahed-131 – 57 კომპონენტს.

„ამ მწარმოებლებს შორის არიან ამერიკული, შვეიცარიული, ნიდერლანდური, გერმანული, კანადური, იაპონური და პოლონური კომპანიები“, – წერია ანგარიშში, თუმცა ამასთანავე აღნიშნულია, რომ სანქციების დარღვევის არანაირი ნიშნები არ ვლინდება.

ჯო ბაიდენი მიჩიგანში გაფიცულებს შეუერთდა!

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მიჩიგანში საავტომობილო ინდუსტრიის მუშაკთა გაერთიანების (UAW) აქციაზე იმყოფებოდა. როგორც CNN წერს, ის პიკეტის ხაზში ჩადგა და იქ 87 წამი დაჰყო. გამოცემა აღნიშნავს, რომ ჯო ბაიდენი ამერიკის პირველი პრეზიდენტია, რომელიც თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში პროფკავშირების პიკეტს შეუერთდა.

„1973 წლიდან მოყოლებული UAW-ს ბევრ პიკეტში მიმიღია მონაწილეობა, როცა სენატორი ვიყავი, მაგრამ აი რას გეტყვით – პირველად ვაკეთებ ამას პრეზიდენტის რანგში. ეს ქვეყანა უოლ სრიტს არ აუშენებია, ეს ქვეყანა საშუალო ფენამ ააშენა, საშუალო ფენა კი პროფკავშირებმა ააშენეს!“, – მიმართა შეკრებილებს ბაიდენმა. CNN აღნიშნავს, რომ აშშ-ის პრეზიდენტები, ბაიდენის ჩათვლით, აქამდე უარს ამბობდნენ პროფესიული კავშირების დავებში ჩარევაზე, რომ ისეთი შთაბეჭდილება არ შექმნილიყო, თითქოს ისინი ვინმეს მხარეს იჭერდნენ.

მხნედ, ლიმონა და გედია!

ორი ქართველი, ყველასთვის საყვარელი მსახიობები გია გურჯანაძე და სოსო ჯაჯვლიანი ვერაგ სენს თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში ერთად ებრძვიან.

რამდენიმე დღის წინ, გია გურჯანაძემ ფართო საზოგადოებას გაუმხილა, რომ მეოთხე სტადიის სიმსივნეს ებრძვის. მსახიობის თქმით, მძიმე პერიოდი გადაიტანა და ახლა ოპერაციისთვის ემზადება.

გია გურჯანაძე თურქეთის იმ კლინიკაში გადის მკურნალობის კურსს, სადაც მისი კოლეგა, სოსო ჯაჯვლიანი იმყოფება. მათი შეხვედრა მოულოდნელი და ემოციური აღმოჩნდა.

მალე გამოჯანმრთელებულები დამბრუნებოდეს ქართველი ხალხის უასყვარლესი მსახიოებები სამშობლოს...

ხელოვნების სასახლის ისტორიული პროექტი

ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფი ძალიან მალე საზოგადოებას გრანდიოზულ პროექტს წარუდგენს.

ხელოვნების სასახლის დირექტორის გიორგი კალანდიას ინფორმაციით, ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფი 2 წელია სამეგრელოში სამეცნიერო ექსპედიციებში მუშაობენ.

„ჩვენს მიერ გადმოღებული ლაპიდარული წარწერების რაოდენობამ 100 ერთეულს გადააჭარბა... ფოტოზე დადასტურდა ფრესკული მხატვრობის ყველა ნიმუში, შესწავლილია უნიკალური ტაძრები, ციხეები, სამუზეუმო ექსპონატი. პროექტი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს და თავიდან 2 დიდი ფორმატის კრებულის გამოცემა გვქონდა გადაწყვეტილი, თუმცა ექსპედიციის მიერ მოპოვებული სამეცნიერო მასალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მესამე ტომის მომზადებაც გახდა საჭირო..

ამ კეთილშობილურ წამოწყებაში შემოგვიერთდა საქველმოქმედო ფონდი „ხარება“ და ჩვენი პროექტი უფრო მასშტაბური და მრავალმხრივი გახადა. ასე რომ, მომავალ წელს ფონდ „ხარება“-სთან ერთად, ხელოვნების სასახლე, ზუგდიდის დადიანების სასახლე და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მკითხველს აჩუქებს დიდ მონოგრაფიას, ფერად სამტომეულს „სამეგრელო“ საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეზე ამ მასშტაბის გამოცემა ჯერ არ მომზადებულა“, – სიამაყით დასძენს გიორგი კალანდია.

საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საარქივო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალზე მსოფლიოს 15 ქვეყნის საარქივო და კინოინსტიტუციაში დაცული 38 დოკუმენტური, მხატვრული თუ ანიმაციური ფილმი იქნება ნაჩვენები.

ეროვნული არქივის ინფორმაციით, ფესტივალი 4 ოქტომბერს ეროვნული არქივის კინოთეატრში, საქართველოს ეროვნული არქივის პროგრამით გაიხსნება. „საქართველოს კურორტები“ 1930 წელს რეჟისორ ედუარდ სუპატაშვილის მიერ გადაღებული სარეკლამო ხასიათის ფილმია. იგი მოგვითხრობს საქართველოს ისეთ სამკურნალო და დასასვენებელ კურორტებზე, როგორებიცაა ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ახტალა, ბაკურიანი და სხვა. ფილმის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ნაწილი საქართველოს მთებში მოგზაურობაა. სამკურნალო პროცედურების გარდა, მასში ასევე ასახულია სპორტული თუ კულტურული აქტივობები. ქართული პროგრამის მეორე ფილმი, „მსოფლიო ტაშს უკრავს“, რომელიც 7 ოქტომბერს ფესტივალს დახურავს, გიორგი ასათიანმა 1960 წელს საქართველოს ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილების“ შესახებ გადაიღო.

5-7 ოქტომბერს საფესტივალო დღეებში წარმოდგენილი იქნება ბელგიის სამეფო კინოარქივში, გერმანიის ფედერალურ არქივში, გერმანიის კინოს ინსტიტუტში, ჰოლანდიის კინომუზეუმში, ჩეხეთის, პერუს, ჩრდილოეთ მაკედონიის კინოთეკებში, პორტუგალიისა და ტურინის კინოს მუზეუმებში, ჩეხეთის, ესტონეთის, პოლონეთის, ბულგარეთის კინოარქივებში, აშშ-ისა და მალტის ეროვნულ არქივებში დაცული ალფრედ მაჩინის, დუშან ვუკოტიჩის, იან ნემეკის, ლეიდა ლაიუსის, ალბრეხტ ვიქტორ ბლუმის, ელა ბერგმან მიშელის, ძმები მანაკების, რეინალდო ფერეირას, ჯიმი მურაკამის, რობერტ სიოდმაკისა და სხვათა რეჟისორობით 1909-1975 წლებში გადაღებული საარქივო ფილმები.



მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

„დმანისობა“ დმანისში

დმანისში „დმანისობის“ სახალხო დღესასწაული გაიმართა. სახალხო დღესასწაული ადგილობრივ მცხოვრებლებს პირადად მიულოცა დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა, კობა მურადაშვილმა, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი დოხტურიშვილმა და სასულიერო პირებმა.

„დმანისობა 2023“-ის ფარგლებში, აღსანიშნავად იმისა, რომ 900 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ქალაქ დმანისის შემოერთებით საქართველოს გაერთიანება დაასრულა, თეატრალური ღონისძიება „სამეფო ნადიმი“ გაიმართა. ღონისძიების პროგრამა იყო მრავალფეროვანი. მოეწყო საგამოფენო, სამკითხველო სივრცეები, გაიმართა სპორტული აქტივობები, საპატიო დმანისელებისა და ჩოხოსნების დაჯილდოების ცერემონიალი. ღონისძიება ჯგუფმა არგომ საზეიმო კონცერტით დაასრულა.

საბერძნეთში ცხვრები პლანტაციაში შეიპარნენ და 100 კილო კანაფი შეჭამეს!

საბერძნეთში, ფესალიაში ცხვრები სამედიცინო კანაფის პლანტაციაზე შეიპარნენ და მოსავალი – დაახლოებით 100 კილო მთლიანად შეჭამეს, – ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს. გავრცელებული ინფორმაციით, ფარა პლანტაციაში შემთხვევით აღმოჩნდა – რეგიონში ბევრი საძოვარი დაიტბორა და ცხოველები ახალ ადგილს ეძებდნენ. მწყემსი, რომელიც მოგვიანებით ფარას დაეწია, მიხვდა, რომ ცხვრებმა კანაფი შეჭამეს, რადგან ისინი „უცნაურად იქცეოდნენ“. **„არ ვიცი, ვიცინო თუ ვიტირო. ზაფხულში სიცხის ტალღა გვქონდა – ყველაფერი გახმა. სექტემბერში წყალდიდობა მოხდა. ახლა კი ეს... ცხვრებმა ყველაფერი შეჭამეს, რაც დარჩა“,** – ამბობს პლანტაციის მფლობელი.

GOOGLE 25 წლისაა

საძიებო სისტემამ იუბილეს დუდლი მიუძღვნა. Google 1998 წლის 4 სექტემბერს ლარი პეიჯმა და სერგეი ბრინმა შექმნეს, თავად დომენი კი 15 სექტემბერს დარეგისტრირდა. მიუხედავად ამისა, კომპანია დაბადების დღეს 27 სექტემბერს აღნიშნავს. დღეს Google ყველაზე პოპულარული კომპიუტერული საძიებო სისტემაა მთელ მსოფლიოში. ყოველდღიურად ის არეგისტრირებს 50 მილიონზე მეტ ახალ მოთხოვნას ძიებაზე და 8 მილიარდ ვებგვერდს უკეთებს ინდექსირებას. Google სხვადასხვა მასალას 191 ენაზე ეძებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 2 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6816; ევრო - 2.8521;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2842;
100 რუბლი - 2.7819; თურქული ლირა - 0.0988;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5801;
1000 სომხური დრამი - 6.9382

ამინდი 28 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +25
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +30
თბილისი: ღამე +16, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge